ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 5 მაისი, 2021 №77 (8606) ფასი: 60 თეთრი

## დავითგარეჯში ივერი მელაშვილსა და მთავარ არხს ფიზიკურად გაუსწორდნენ



გვ.5



გვ.5

## ნიკა მელიას გირაოს გადახდას ბრალდებულის თანხმობა არ სჭირდება

# „გახარია თბილისის მერად შოთა ან აჩი არველაძეს წარადგენს“



გვ.2



ლადო სადღობელაშვილი: „მერაბიშვილმა და ახალაიამ თუ აგეს პასუხი 7 ნოემბერსა და 26 მაისზე, როგორც ბრძანებების გამცემებმა, მე მიმაჩნია, რომ გახარიამ უნდა აგოს პასუხი იმ უბედურებაზე, რომელიც 20 ივნისს მოხდა!“

„ძალიან კარგი სამკუთხედი იკვრება, აქეთ გახარიას გუნდი, ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“. ესენი ვერასდროს დაწყვილდებიან, ეს კი იმის მიმანიშნებელია, რომ ძალთა შორის ბალანსი დაცული იქნება“

## „ოპოზიციამ თბილისის მერად საერთო კანდიდატი უნდა დაასახელოს“



კორნელი კაკაჩია: „პოლიტიკური კრიზისი არ ამოწურულა, დასავლეთს ძალისხმევა ისევ მოუწევს“



გვ.3




## „სინოფარმზე“ რიგები ხელოვნურად არის შექმნილი“



გვ.3

სერგო ჩიხლაძე: „ვაქცინირებულებისთვის შეზღუდვების მოხსნას ვეწინააღმდეგები – დისკრიმინაციაა, კონტროლიც გართულდება და კორუფციის რისკიც ჩნდება“

## „მელიასთან ამნისტიის კანონპროექტი არაფერ შუაშია“



გვ.4

ლაშა ჩხარტიშვილი: „ქართულმა ოცნებამ“ სამომავლო საქმე გაიკეთა. კარგი იქნებოდა, რომ ამაში ამ ოპოზიციას მონაწილეობა არ მიეღო“

## ოკუპირებული აფხაზეთის ენერგოსისტემას რუსეთი ეპატრონება



გვ.4

„ენერგეტიკა აფხაზეთის სუვერენიტეტის ნაწილია“

ISSN 1987-9385

2 სააკაშვილი: „საქართველოში გასაგიჟებელი მხარდაჭერა მაქვს“

4 ამირან გამყრელიძე „სინოფარმით“ აიცრა

5 სამხედრო დათა ნაროშვილმა ცოლის მეგობარი დავით ქობულაძე დუელში გამოიწვია

6 ბაიდენმა აშშ-ში შემსვლელ ლტოლვილთა ზღვარი 4-ჯერ გაზარდა

# „გახარია თბილისის მერად შოთა ან აჩი არველაძეს წარადგენს“

## ლადო სადღობელაშვილი: „მერაბიშვილმა და ახალაიამ თუ აგეს პასუხი 7 ნოემბერსა და 26 მაისზე, როგორც ბრძანებების გამცემებმა, მე მიმაჩნია, რომ გახარიამ უნდა აგოს პასუხი იმ უბედურებაზე, რომელიც 20 ივნისს მოხდა!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.



***– ლადო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? პოლიტიკური პარტიები რატომღაც არ ჩქარობენ წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებას. ნაცმოძრაობა ცდილობდა, ნიკა მელია ყოფილიყო ერთიანი ოპოზიციური კანდიდატი. ჯერჯერობით არც გახარია აქტიურობს. პროცესების რა განვითარებას ელით? ვინ რას გეგმავს და რას აპირებს?***

– ნიკა მელია დღეს გაუგებარ სიტუაციაშია. ჯერ ერთი, მისი დაჭერა არ ღირდა. მის პარტიას, სააკაშვილიდან გამომდინარე, ფეისები ისედაც არ აკლია. ვიტყვი იმასაც, რომ სანამ გიორგი გახარია იყო ხელისუფლებაში, ნიკა მელიას ფაქტორი უფრო მაღალი იყო. რატომღაც ბევრს ეგონა, რომ ნიკა მელიას დაჭერას გადაჰყვებოდა ეს მთავრობა, მაგრამ არ მოხდა ეგრე. არც დასავლეთმა გამოუცხადა მელიას სათანადო მხარდაჭერა. ამიტომ ეს გეგმა თუ ოპერაცია, რომელიც მელიას დაკავებას უნდა მოჰყოლოდა, ჩაუვარდათ.

***– საზოგადოების მხარდაჭერაც არ იყო დიდი.***

– კი, ასეა. ასე თუ ისე, წონადი პოლიტიკოსია მელია, მაგრამ მხოლოდ რაღაცა სეგმენტზე. ეროვნულმანტიამოსხმული ნიკა მელია ვერასდროს იქნება. ამის მცდელობა იყო, მაგრამ არ გამოუვიდათ. ნიკა მელია იყო სააკაშვილის სავაჭრო ინსტრუმენტი. სააკაშვილს ერთი სული აქვს, როდის ჩამოვა და სწორედ ამ ტალღაზე უნდოდა დაბრუნება, მაგრამ, ნურას უკაცრავად.

***– ლადო, ბევრი მიიჩნევს, რომ ნიკა მელია არ არის სააკაშვილის მარიონეტი და ეს პარტია ორთავიანია.***

– ტყუილად არ მიხსენებია, რომ მელია იყო გახარიას გეგმის ნაწილი. როცა გახარია გამოვიდა ფართო ასპარეზზე, სწორედ მაშინ წამოიჭიმა მელიაც. თითქოს ერთდროულად მაღლდებოდნენ თავიანთ პარტიებში. მე ასე ვხედავ ამ ყველაფერს, რომ ერთი სქემის ნაწილია ეს ორი პიროვნება. დამთავრდა გახარია „ქართული ოცნებისთვის“, დიდი ალბათობით, დამთავრდება მელია ასე ფართომასშტაბიანად ნაციონალური მოძრაობისთვის. ის ერთიანობაც, რომელიც თითქოსდა იყო ნაციონალური მოძრაობის ირგვლივ, შალიკოს ფანჩატურში შექმნილი, ვხედავთ, რომ დამთავრდა. დალმაშენებელი გიორგი ვაშაძე ოპოზიციური მხარის საპარლამენტო ლიდერობას აპირებს.

***– პარლამენტში შესული ოპოზიცია კმაყოფილებას ვერ მალავს, დიდი ხანია, შესვლა უნდოდათ და, როგორც იქნა, შევიდნენო.***

– მაგას არ ვამბობ? ჯერ კიდევ როდის გეუბნეოდით, ჩვენ ამათ პარლამენტში ვიხილავთმეთქი. შალიკო რატომ არ შევიდა, ყველამ ვიცით, ერთი კაცია და, ერთი გინდ ყოფილა პარლამენტში და გინდ – არა. პარლამენტში შესულების მხრიდან ყველაზე საინტერესო, იცით, რა არის?!

***– რა?***

– შევიდნენ თუ არა პარლამენტში, წინა პლანზე წამოსწიეს 20 ივნისის თემატიკა. თანაც ახლოვდება 20 ივნისი, ეს თემა სულ უფრო მეტად გაღვივდება და ვიღაცას ხელი უნდა შეეწმინდოს. იქიდან გამომდინარე, რომ „ლელო“ არის სრული შემადგენლობით პარლამენტში შესული, მე ვფიქრობ, ეს ხელი ძალიან სამართლიანად შეეწმინდება გახარიას. გახარია იყო ყველაფრის თავიდათავი. გახარიამ შემოუშვა გავრილოვი, სწორედ ის იყო მაშინ შს მინისტრი და საზღვრის დაცვას სწორედ შსს აკონტროლებდა. ამიტომ სწორედ გახარიას უნდა „ვუმადლოდეთ“ გავრილოვის შემოსვლას და შემდეგ იმას, რომ მაკო გომურსა და სხვებს თვალები დასთხარეს. ამიტომ „ლელო“ ყველა ვარიანტში შეეცდება ამ თემის გააქტიურებას.

***– მაშინ გამოდის, რომ ეს ყველაფერი „ოცნების“ ინტერესშია, რათა გახარიას იმიჯი შეილახოს.***

– პარლამენტში ოპოზიციის ყოფნა და მერე ამ ოპოზიციის მხრიდან შიდაკონკურენტებზე თავდასხმა, რა თქმა უნდა, ეს არის სახელისუფლებო გუნდისა და, დიდი ალბათობით, ბიძინა ივანიშვილის ინტერესებში. როგორც კი გახარია პარტიას დააფუძნებს და პოლიტიკურად გააქტიურდება, მაშინვე გააქტიურდება პარლამენტში ეს კომისია. ამ კომისიას, დიდი ალბათობით, უხელმძღვანელებს გახარიასთან და ჩხარტიშვილთან დაპირისპირებული ხაზარაძე ან მისი გუნდის რომელიმე წევრი.

***– რას იტყვით გიორგი გახარიას გეგმებზე? რადგან მასზე ვსაუბრობთ.***

– გახარიას აქვს რაღაც რეიტინგი, მაგრამ ეს არ არის დიდი რეიტინგი, სადღაც 7-8%-ია. ბოკერიას რომ ჰქონდა თავის დროზე, დაახლოებით ასეთი რეიტინგი ექნება. ეს ადამიანი ითამაშებს, დიდი ალბათობით, შეფარული პროდასავლური პარტიის როლს. სინამდვილეში კი ეს პიროვნება და მისი პარტიაც რუსული გავლენებით იქნება შემკული. თუმცა ხალხში უკვე შეგნებულად ავრცელებენ ჭორს, თითქოს გახარია არის პროამერიკელი. ეს ხმები ძალიან კარგი ადამიანებისგან მოვისმინე, სხვათა შორის და ეს ხალხი გახარიას გუნდში აპირებს ყოფნას. გახარია რომ პროამერიკელია, ეს ეწყინა ბიძინას და ამიტომ დაიძაბა მათ შორის ურთიერთობაო. ეს მართლა რუსეთში განათლებამიღებული და დასაქმებული ადამიანი უცებ პროამერიკელად იქცა. ხედავთ, რამხელა შეფარვითი სამუშაო მიმდინარეობს საზოგადოებაში? უნდათ, ხალხს დააჯერონ, რომ ეს ენეუშნიკი გახარია, რომელმაც საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი რუსეთში დაამთავრა, თურმე პროამერიკელია.

***– რა ელექტორატზე იმუშავებს გიორგი გახარია?***

– გახარია უპირველესად იმუშავებს იმ ელექტორატზე, რომელიც „ოცნებაზეა“ განაწყენებული. გახარია რომ წავიდა, მას წაჰყვა მისი გუნდი, ასევე ვიღაცები დაითხოვეს სამსახურებიდან. 100 კაცს კანცელარიიდან უშვებენ, სხვადასხვა სამინისტროში წმენდაა. ამ წმენდიდან გამომდინარე განაწყენებული ყველა ადამიანი გახარიასთან წავა. როგორც გავიგე, გახარიას აქვს სურვილი, ნაციონალების ელექტორატს დააჯდეს, რაც ნონსენსად მიმაჩნია.

***– ეს არ გამოუვა?***

– არა. ნაციონალების ელექტორატზე დაჯდომა არავითარ შემთხვევაში არ გამოუვა. ისევ „ქართული ოცნების“ ელექტორატს მოაჯდება და ასევე წამოიყვანს ირმა ინაშვილის ელექტორატს.

***– ანუ გახარიას კადრებისგან აქტიურად იწმინდება მთავრობა?***

– კი, რა თქმა უნდა. კანცელარიიდან დაწყებული, ყველა სამინისტროთი დამთავრებული, გახარიას კადრების წმენდა მიდის. ეს განაწყენებული ადამიანები, რომლებმაც დაკარგეს 5.000–ლარიანი ხელფასები, გახარიას გუნდში მიდიან. ვაკვირდები გახარიას და სულ მაინტერესებს, რომელ პლატფორმას დაიჭერს. დაიჭერს ეროვნულს, გამოვა ვიღაც და ეტყვის, ნათია მეზვრიშვილი შენი მარჯვენა ხელი იყო, რომელიც ბაია პატარაიას დაქალია და რომელ ეროვნულობაზე მელაპარაკებიო! დაიჭერს სოციალურ მემარცხენე პოზიციას, მერე ეტყვიან, შენ ის არ იყავი, ნახევარ საქართველოს 1000-1500– ლარიანი სამსახურები რომ დააკარგვინე და 200-ლარიანებზე შესვიო?! მე რატომღაც მგონია, რომ ეს ადამიანი თითიდან გამოწოვილი პროექტია, რომელიც ცდილობს, იმის გამო, რომ არ გაუხსენონ ის უბედურებები, რომლებიც მან ჩაიდინა, ის ფულები, რომლებიც მისმა გუნდმა ჭამა, თავდაცვის მიზნით მიდის პოლიტიკაში, ცდილობს, შეინარჩუნოს ის ტალღა, რომელზეც იყო, რათა საქმე არ აღიძრას მის წინააღმდეგ.

***– არის ამის საფრთხე?***

– კიდევ ერთხელ ვამბობ ყველას გასაგონად. ბევრი მეუბნება, რატომ ადარებ ერთმანეთსო, მაგრამ ასეა. მე მაქვს ამის ლეგიტიმური უფლება. იქ, სადაც მერაბიშვილმა და ახალაიამ აგეს პასუხი 7 ნოემბერსა და 26 მაისზე, როგორც ბრძანებების გამცემებმა, ანალოგიურად, მიმაჩნია, რომ გახარიამ უნდა აგოს პასუხი იმ უბედურებაზე, რომელიც 20 ივნისს მოხდა! რა, რუსეთი რომ ოკუპანტია, ახალი თემაა?! არ უნდა გაეპროტესტებინათ ახალგაზრდებს?! გახარიასთვის რუსეთი მეორე დედასამშობლოა, წავიდა, იქ ისწავლა, ბიზნესი აკეთა, ჩამოვიდა და ახლა უნდა, რომ აქ მოგვაჯდეს თავზე და ცდილობს, თავისი თვალის პაჭუნით დაიპყროს ქალბატონების გულები. აბა ახლა კაცის გულს ეგ ვერ დაიპყრობს.

***– ლადო, „ქართულ ოცნებაზე“ რას იტყვით, რა ხდება დღეს მმართველ გუნდში, ვინ იქნება „ოცნების“ მერობის კანდიდატი?***

– რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, ჩემი ინფორმაციით, ჩატარდება პარტიის ყრილობა, გადაირჩევენ თავმჯდომარეს და მდივნებს. ეს სწორი ნაბიჯი იქნება, რადგან „ქართული ოცნება“ გადახალისებას საჭიროებს.

***– ანუ უშვებენ კობახიძეს?***

– არა, მე მაგას არ ვიტყოდი. უბრალოდ, თავმჯდომარე აღარ იქნება. თუ „ოცნების“ მიმართ ნეგატიური განწყობაა, ეს სწორედ იმ გუნდის ბრალია, რომელსაც პარლამენტში კობახიძე ხელმძღვანელობს.

***– თავმჯდომარე ღარიბაშვილი გახდება?***

– დიახ, მე ასეთი ინფორმაცია მაქვს და ეს იქნება მართებული.

***– მერობის კანდიდატზე რას იტყვით?***

– რაც შეეხება მერობის კანდიდატს, მაქვს ინფორმაცია, რომ ერთ-ერთი არველაძე აპირებს გახარიასგან თბილისის მერობაზე კენჭისყრას.

***– ძმები არველაძეები უკვე ბევრჯერ გამოჩნდნენ გახარიას გვერდით.***

– კი ბატონო, მათ უკვე დიდი ხანია, დაწყებული აქვთ პიარკამპანიები სოციალურ ქსელებში. მე თავიდან მქონდა მოლოდინი, რომ პარლამენტში უნდა ყოფილიყვნენ არველაძეები, როგორც გახარიას გუნდის წევრები, მაგრამ, იცით, რომ კალაძესთან დაპირისპირებული არიან და მაშინ ეს ამბავი არ გამოვიდა. ახლა კი ადგილობრივ არჩევნებში გამოჰყავს გახარიას ეს ფალავნები და სწორედ მათ რესურსს გამოიყენებს. თბილისელი ბიჭები არიან. მათ მართლაც კარგი რეპუტაცია აქვთ.

***– ანუ კარგი გათვლაა გახარიას მხრიდან?***

– კი, ასეა. თუმცა, როგორც მერი, არ ვიცი, როგორი იქნება არველაძე. როგორც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, კი ბატონო, ალტერნატივა არ უნდა ჰყავდეთ არველაძეებს, მაგრამ მერად რა გითხრათ.



***– კალაძე ფეხბურთიდან არ მოვიდა თბილისის მერად?***

– ეგეც არის. მეურნე უნდა იყოს ქალაქის მერი და, ამაზე როცა მიდგა საუბარი, მაშინვე ვნახეთ გახარიას გავრცელებული ფოტო, რომელიც არველაძეების მოცვისა და მაყვლის ბაღებშია გადაღებული. ეს შეგნებულად არის გაკეთებული იმისთვის, რომ აჩვენოს, ესენი კარგი მეურნეებიც არიანო.

***– „ოცნება“ ვის დაუპირისპირებს?***

– სწორედ ამიტომ გავაკეთე ეს შესავალი, თუ ასე გადაწყდება, მაშინ ატყდება ერთი ამბავი და „ოცნებაც“ და კალაძეც ყველაფერს იზამენ იმისათვის, რომ კალაძე დარჩეს მერად. ჩემი აზრით, ეს იქნება სწორი გადაწყვეტილება. შეიძლება, კალაძე ბევრს აღარ ეხატება გულზე, მაგრამ, გახარიას მხრიდან თუ არველაძე დადგა, შოთი იქნება თუ აჩი, ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, აქეთა მხრიდან აუცილებლად უნდა დადგეს კალაძე. ეს ორი გუნდი, ახალგაზრდობიდან მოყოლებული, ერთმანეთთან სულ დაპირისპირებაშია. ყველას ახსოვს, ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებზე რაც მოხდა, პრაქტიკულად მოიგო შოთა არველაძემ, მაგრამ კალაძემ ეს გამარჯვება ჯიბიდან ამოაცალა და კობიაშვილი დანიშნა. ამას ასე ადვილად არავინ პატიობს. „ოცნება“ აუცილებლად დაელოდება გახარიას კანდიდატს და ამის მერე გადაწყვეტს, რა და როგორ.

***– ანუ რაც არ უნდა ლანძღოთ გახარია, ის ანგარიშგასაწევი ძალაა და რჩება „ოცნების“ სერიოზულ კონკურენტად?***

– კი, ასეა. ამას ვერავინ გაექცევა. მე როგორ ვუყურებ, იცით, გახარიას? დათუაშვილი რომ არის მოჭიდავე, ევროპის ჩემპიონი რომ გახდა, მოხდა დაპირისპირება ჭიდაობის ფედერაციაში. ეს ადამიანი ჭიდაობის ფედერაციამ გაზარდა, ავარჯიშა, ფული დაახარჯა, ჩემპიონატებზე გაიყვანა, ტიტულოვნად აქცია, მერე იმ დაპირისპირების გამო ეს ადამიანი ადგა, წავიდა და ახლა სხვა ქვეყნის სახელით ასპარეზობს. აი, ასე ვუყურებ დღეს გახარიას საქმიანობას. თუ წასვლა გინდა, წადი, მაგრამ რაღაცნაირად ისე ქენი, რომ შენს მშობელ დედასა და მამას არ დაუპირისპირდე. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, ძალიან კარგი სამკუთხედი იკვრება, აქეთ გახარიას გუნდი, ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“. ესენი ვერასდროს დაწყვილდებიან. ეს კი იმის მიმანიშნებელია, რომ ძალთა შორის ბალანსი დაცული იქნება, გაწონასწორდება სიტუაცია. პოლიტიკურ ბაზარზე აღარ უნდა იყვნენ მხოლოდ ნაცი და ქოცი.

# სააკაშვილი: „საქართველოში გასაგიჟებელი მხარდაჭერა მაქვს“

– ვფიქრობ, საქართველოში ხელისუფლება წელს ნებისმიერ შემთხვევაში შეიცვლება.

ამის შესახებ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „დოიჩე ველესთან“ ინტერვიუში განაცხადა.

მისივე თქმით, მას საქართველოში დიდი მხარდაჭერა აქვს.

– ვფიქრობ, საქართველოში ნებისმიერ შემთხვევაში წელს ხელისუფლება შეიცვლება. მათ მოიპარეს არჩევნები, მაგრამ შემდეგ ჩაერივნენ ევროპელები. მიაღწიეს შეთანხმებას, რომელიც სრულყოფილებამდე ძალიან შორსაა, მაგრამ, რომელიც ხსნის რეფერენდუმის საკითხს, პრაქტიკულად ხელისუფლების ცვლილებას ამ წლის შემოდგომაზე. ამიტომ, მგონია, რომ პირადად მე და ჩემი პოლიტიკური ძალა მოვემზადებით, ბოლომდე მივიყვანთ საქმეს და არ ვაპირებთ, მათ ქვეყნის განადგურების უფლება მივცეთ, – განაცხადა სააკაშვილმა.

კითხვაზე, შეიძლება თუ არა, საქართველოს ხელისუფლება მას რუსი ოპოზიციონერის, ალექსეი ნავალნის მსგავსად მოექცეს, ექსპრეზიდენტმა უპასუხა, რომ ეს შესაძლებელია.

– კი, მაგრამ, რუსეთისგან განსხვავებით, ქართველი ხალხი საკმარისადაა მობილიზებული. უბრალოდ, გასაგიჟებელი მხარდაჭერა მაქვს. ნავალნის მე რეალურად გმირად ვთვლი. ჯერ ასეთი მხარდაჭერა რუსეთში არ არის, მაგრამ ასეთი მხარდაჭერა მოვა, თუ ის გადარჩება, – განაცხადა სააკაშვილმა.

## „მართლაც გიჟურია სააკაშვილის მხარდაჭერა“

**მიხეილ სარჯველაძის კომენტარი**

– არ ვიცი, რა თვალსაზრისითა და მოტივაციით თქვა, მაგრამ შეიძლება, გარკვეული თვალსაზრისით დავეთანხმოთ, რომ მართლაც გიჟურია მხარდაჭერა.

ასე ეხმიანება ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძე მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, რომ მას საქართველოში „გასაგიჟებელი მხარდაჭერა“ აქვს.

სარჯველაძე იმედოვნებს, რომ ამომრჩეველი მომდევნო არჩევნებისთვის ნაციონალური მოძრაობის დესტრუქციას უყურადღებოდ არ დატოვებს.

– სამწუხაროდ, ნაციონალური მოძრაობის სამომავლო პერსპექტივებზე კარგს ვერაფერს მოგახსენებთ. ჩემი ვარაუდით, კლებად რეჟიმშია მათი მხარდაჭერა და ამის დასტური იქნება, იმედი მაქვს, მომავალი არჩევნები. ღრმად მწამს, რომ დესტრუქციის მცდელობებს, რომლის კასკადი ვიხილეთ, ქართველი ამომრჩეველი უყურადღებოდ არ დატოვებს, – განაცხადა სარჯველაძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სინოფარმზე“ რიგები ხელოვნურად არის შექმნილი“

იაგო ნაცვლიშვილი

## სერგო ჩიხლაძე: „ვაქცინირებულებისთვის შეზღუდვების მოხსნას ვეწინააღმდეგები – დისკრიმინაციაა, კონტროლიც გართულდება და კორუფციის რისკიც ჩნდება“

რამდენად გამართლებულია ჩინური ვაქცინის „სინოფარმის“ შემოტანა მაშინ, როდესაც ჯერ ავტორიზაციაც კი არ გაუვლია? რამდენად სწორია მთავრობის გეგმა, რომ შეზღუდვები მოუხსნან ვაქცინირებულ ადამიანებს, მათ შორის კომენდანტის საათის დროს გადაადგილებაც? როგორ გაკონტროლდება ეს პროცესი და ხომ არ იქმნება ვირუსის გავრცელების რისკი? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთი ლიდერი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტი **სერგო ჩიხლაძე** საუბრობს.

***– ჩინურ ვაქცინა „სინოფარმის“ შესახებ თენგიზ ცერცვაძემ თქვა, რომ მაღალი პროცენტით არ გვიცავს ვირუსისგან, მაგრამ მაინც შემოაქვთ, თანაც ისე, რომ ავტორიზაცია ჯერ არ აქვს გავლილი. არ ჩნდება რისკები?***

– „სინოფარმი“ ვირუსისგან სხვადასხვა კვლევით 50%-დან 79%-მდე იცავს ადამიანებს, რაც საკმაოდ დაბალია. მე ვურჩევდი ხელისუფლებას, რომ არ მიიღოს ასეთი გადაწყვეტილებები, სანამ, სულ მცირე, არ არის ჯანმოს ავტორიზაცია. შევიდა განსახილველად გასულ კვირაში ეს საკითხი და შესაძლოა, ამ კვირაში უკვე მიიღოს ავტორიზაცია. როგორც ჩინური, ამის გამო კი არ დგება ეჭვის ქვეშ, არამედ უნდა იყოს ავტორიზებული და ამის შემდეგ ბევრი კითხვა მოიხსნება. თუმცა, მისი ავტორიზების შემთხვევაშიც კი, მისი მწარმოებელიც ამბობს, რომ მისი ეფექტურობა არის 79%, მაშინ, როდესაც „ასტრაზენეკას“, „ფაიზერისა“ და ა.შ. 90% და მეტია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება. უბრალოდ, უმჯობესი იყო, მთავრობას ემუშავა უფრო მაღალი ეფექტურობის ვაქცინების შემოტანაზე. მეორეც, „სინოფარმის“ 100.000 დოზის შემოტანაზეა საუბარი. ეს ზღვაში წვეთია, სულაც გვერდზე რომ გადავდოთ, ის ჩინურია თუ არა. შედეგზე რომ გავიდეთ, გვჭირდება, მინიმუმ 1.7 მილიონი მოზრდილი მოსახლეობა ავცრათ. ეს არის 3.4 მილიონი დოზა. იქ რაღაცა გაფუჭდება და ა.შ. ამიტომ სადღაც 3.5-3.6 მილიონი დოზა გვჭირდება. მაისიდან მოყოლებული, საქართველოში თვეში უნდა შემოდიოდეს 420-450 ათასი დოზა. ვაქცინა ფიზიკურად არ არის შემოსული და არა ის, რომ „სინოფარმია“ და „ფაიზერი“ არ არის.

***– ამით აიხსნება ის, რომ როგორც კი დაშვებულ იქნა „სინოფარმზე“ რეგისტრაცია ყველა ასაკზე, მაშინვე რეგისტრაციის რიგები გაჩნდა?***

– ამაზე სხვა შეხედულება მაქვს. არა მგონია, რომ „სინოფარმზე“ წყვეტა იყოს. უბრალოდ, ვფიქრობ, ხელოვნურად არის შექმნილი. მოსახლეობაში მოტივირება მოახდინონ, რომ „სინოფარმზე“ რამდენი დარეგისტრირდა და სხვებსაც გაუჩინონ მოტივაცია. ჩემი აზრით, ასეთი ხრიკია. არა მგონია, რომ არაავტორიზებულ „სინოფარმზე“ ამდენი ადამიანი დარეგისტრირდა, მაშინ, როდესაც „ასტრაზენეკაზე“ მორჩენილია დოზები და შანსია, რომ მაისის ბოლომდე ვერ გამოვიყენოთ და გაფუჭდეს.

***– თუმცა ჩემ გარშემოც თქვა რამდენიმე ისეთმა ადამიანმა, რომ აპირებს „სინოფარმით“ აცრას, რომლებიც ჯერ კიდევ ორი კვირის წინ ამბობდნენ, რომ ჩინური ვაქცინით არ აიცრებოდნენ.***

– ეს სუბიექტური მიდგომაა. თქვენ გარშემო ას ადამიანს ხომ არ უთქვამს? თქვა 5-6-მა. ჩემ გარშემო არავის უთქვამს. ვინ რა თქვა ჩემ ან თქვენ გარშემო, ეს სუბიექტურია და ამით ვერ ვიმსჯელებთ. ფაქტია, რომ ადამიანები უფრო მაღალი ხარისხის „ფაიზერითა“ და „ასტრაზენეკათი“ არ აიცრნენ და უცებ წყვეტაა „სინოფარმზე“, რომელსაც ავტორიზაცია არ აქვს და რომელზეც მწარმოებელი ამბობს, რომ დაცულობა ამ ვაქცინაზე უფრო დაბალია, ვიდრე სხვა არსებულ ვაქცინებზე.



***– თქვით, რადგან ჩინურია, ამის გამო არ ვიწუნებთო, მაგრამ ამასაც აქვს მნიშვნელობა, რომელი ქვეყანაა მწარმოებელი. მე, პირადად, ვაქცევ ამას ყურადღებას, ამერიკულს გაცილებით მეტად ვენდობი და ნაკლებად – ჩინურს.***

– კი ბატონო. ნებისმიერ მოქალაქეს ალბათ შვედურ-ბრიტანული ხარისხი ურჩევნია, იქნება ეს ვაქცინა თუ ნებისმიერი სხვა ნივთი, ვიდრე ჩინური წარმოების. თუ ჩინური აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს, მისი გამოყენება შესაძლებელია, მაგრამ მთავრობის აქცენტი უნდა იყოს იმაზე, რომ უფრო მაღალეფექტიანი ვაქცინა მიაწოდოს.

***– ინფორმაცია იმაზეც გაჩნდა, რომ იმავე „ფაიზერითა“ და „ასტრაზენეკათი“ აცრილებს მაინც დაემართათ კორონა.***

– ეს მცდარი ინფორმაციაა. ორი დოზის აცრის შემთხვევაში პრაქტიკულად გამორიცხულია. ეგ არის ეფექტიანობა ზუსტად. შეიძლება, 10%-ს დაემართოს, მაგრამ დაზღვეული ხარ გართულებისგან. შეიძლება, გრიპის ვაქცინით აიცრა, მაგრამ იქიდან რამდენიმეს მაინც დაემართოს გრიპი. 97% ეფექტიანიაო, როდესაც ამას ვამბობთ, ეს ნიშნავს, რომ 100-დან 97 ადამიანს არ დაემართება, 3-ს შეიძლება დაემართოს მსუბუქი ფორმით. გართულება და სიკვდილიანობა არ იქნება. მთავარი ის არის, რომ ვაქცინები არ არის ფიზიკურად. „სინოფრამზე“ კი აქცენტი იმიტომ გააკეთეს, რომ უფრო ადვილი საშოვნელია. სამწუხაროდ, ჩვენს ხელისუფლებას არ აქვს უნარი, მაღალხარისხიანზე იმუშაოს და, რაც შემოიტანეს, ის შემოიტანეს. ეს არის მთელი აზრი ამის უკან. თუმცა სულ არაფერს სჯობს ჩინური ვაქცინა, როგორც კი მას ექნება ავტორიზაცია. სანამ არ ექნება ავტორიზაცია, რეკომენდაციას ვერავის მივცემ, რომ ის გაიკეთონ. თუ დარწმუნებული არ ვარ ხარისხზე, ვაქცინაზე კი არა, წამალზეც ვერ გავაკეთებ მოწოდებას, რომ მოდით, მასობრივად მოვიხმაროთ. ავტორიზაცია როდესაც ექნება, მერე – კი. კულუარული ინფორმაცია გვაქვს ჩვენი კოლეგებისგან, მათ შორის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისგან, რომ, დიდი ალბათობით, ამ კვირის ბოლომდე მას ექნება ავტორიზაცია. ამის შემდეგ შეიძლება ვთქვათ, რომ ჩინური ვაქცინით აცრაც მიზანშეწონილია.

***– გაცხადდა, რომ იგეგმება გარკვეული შეზღუდვების მოხსნა ვაქცინირებული ადამიანებისთვის, შეეძლებათ კომენდანტის საათის დროს გადაადგილება და ა.შ. ეს ალბათ დისკრიმინაციაა, მაგრამ, მეორე მხრივ, როგორ გააკონტროლებენ?***

– ამ ინიციატივას ვეწინააღმდეგები. ეს არის დისკრიმინაციული ნორმა. გამოდის იძულება, რაც სწორი არ მგონია. მიუხედავად იმისა, რომ მე ვარ ვაქცინაციის პროპაგანდისტი და ყველას მოვუწოდებ ვაქცინაციისკენ, დაწყებული ღია ეთერითა და გაგრძელებული პირადი კომუნიკაციით, ასეთი დისკრიმინაციული ნორმის წინააღმდეგი ვარ. ეს უნდა იყოს ნებაყოფლობითი და დარწმუნების დონეზე.

მეორე, ამაზე ფიქრი კიდევ შეიძლებოდა, თუ ეს ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა. ახლა გამოდის, რომ შეიძლება, მე და თქვენ გვინდოდეს აცრა, მაგრამ ფიზიკურად არ არის. ზოგს ასაკის გამო გვიწევს და ა.შ. 4 მილიონი დოზაა საჭირო და ჩვენ ვსაუბრობთ 100.000 დოზაზე. უცებ 300.000-მა ადამიანმა რომ მოინდომოს აცრა, ავცრით?

მესამე მომენტია ის, როგორ გაკონტროლდება ფიზიკურად, ანუ ათასობით ადამიანმა, თუნდაც აცრილებმა, ღამე სიარული რომ დაიწყონ გარეთ, პოლიცია დაიწყებს მათ გაჩერებას. ადამიანებს ან საბუთი უნდა ჰქონდეთ, ან ელექტრონულად უნდა იყოს შეტანილი ბაზაში.

***– თუ მათ ლოგიკას გავყვებით, რომ კომენდანტის საათი ამცირებს ვირუსის გავრცელებას, ეს არ გააჩენს რისკს, რომ უფრო გავრცელდეს კორონა, იქიდან გამომდინარე, რომ ყველას ვერ შეამოწმებენ?***

– ფიზიკური მონიტორინგი ძალიან გაჭირდება. ვხედავ რისკს, რომ ბევრმა აუცრელმა შეიძლება ისარგებლოს ამით და გავიდეს იმ მოტივით, რომ ვერ შეამოწმებენ. მეორეა ის, რომ შესაძლოა, კორუფციის წყაროც გაჩნდეს ყალბი ცნობებისა და მონაცემთა გაყალბების კუთხით.

***– ბოლოს მითხარით, „სტრატეგია აღმაშენებელი“ რატომ არ დაესწარით პარლამენტში ჯანდაცვის მინისტრის მოსმენას, მაშინ როდესაც უამრავი პრეტენზია გაქვთ ჯანდაცვის უწყების მიმართ?***

– მე, პირადად, ფიზიკურადაც ვერ დავესწრებოდი, რადგან არ ვარ პარლამენტართა სიაში. ჩვენს გუნდში იყო მსჯელობა, უნდა დავსწრებოდით თუ არა. საბოლოო ჯამში, გადავწყვიტეთ, რომ იმ დღეს ვერ დავესწრებოდით, იმიტომ, რომ იმ დღეს ჩვენს ოფისში იყო ოპოზიციური პარტიების სამუშაო შეხვედრა.

მეორე, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ, სამწუხაროდ, პარლამენტს ისეთი დღის წესრიგი აქვს, „სტრატეგია აღმაშენებლის“ დეპუტაციას მაქსიმუმ ერთი კითხვის დასმა შეეძლო. იცით სქემა, შეაგროვებს მინისტრი 10-15 კითხვას და იქიდან 3-4 კითხვას უპასუხებს. არ გაქვს არც დისკუსიაში შესვლის საშუალება და არც აზრის გამოხატვის შესაძლებლობა. ამიტომ ტექნიკურად დიდი მნიშვნელობაც არ ჰქონდა.

ზოგადად ბევრი კითხვა გვაქვს, მათ შორის საჯაროდ რასაც ვაცხადებთ და ვწერთ, თუმცა არასდროს პასუხი არ მიგვიღია. ამის მიუხედავად, ამ კვირიდან აქტიურად ჩავერთვებით საპარლამენტო საქმეებში. საკომიტეტო მოსმენებია უფრო ეფექტიანი, სადაც ინტერაქცია შეიძლება თანამდებობის პირებთან.

# „ოპოზიციამ თბილისის მერად საერთო კანდიდატი უნდა დაასახელოს“

## კორნელი კაკაჩია: „პოლიტიკური კრიზისი არ ამოწურულა, დასავლეთს ძალისხმევა ისევ მოუწევს“

იაგო ნაცვლიშვილი



როგორ შეიძლება, მოხერხდეს ნიკა მელიას პატიმრობიდან გათავისუფლება? ისევ მოუწევს თუ არა ძალისხმევა დასავლეთს? რა მოლოდინები აქვს თვითმმართველობის არჩევნებზე? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ დირექტორი **კორნელი კაკაჩია** საუბრობს.

***– ისევ დიდი დავიდარაბაა ნიკა მელიას გათავისუფლებასთან დაკავშირებით. ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს აბრალებენ მელიას გათავისუფლების გასაღების ქონას. ეს რა გზავნილია დასავლეთისთვის, რომლის დიდი ძალისხმევითაც, ასე თუ ისე, შედგა შეთანხმება, სადაც ერთ-ერთი მთავარი პუნქტი პოლიტპატიმრების გათავისუფლება იყო?***

– აზრთა განსხვავებულობა რომ იქნებოდა, გასაგები იყო, იქიდან გამომდინარე, რომ დასავლეთი არ ერევა შიდასაქმეებსა და პარტიულ დაპირისპირებაში. ამიტომ მათთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს პარტიულ ინტერესებს. მათთვის მნიშვნელოვანია ის, რომ გამოსავალი მოიძებნოს. ამაზე არიან ორიენტირებულები და არ უყურებენ იმას, ამ გამოსავლისა და კომპრომისული ვარიანტის ძიებაში რამდენად დაზარალდება ესა თუ ის მხარე, როგორც მელიას შემთხვევაში მოხდა.

მიუხედავად იმისა, რომ კომპრომისული ვარიანტები მოიძებნა, აღმოჩნდა, რომ მისი იმიჯისა და პარტიისთვის ასეთი ვარიანტი არ იყო მისაღები. აქედან გამომდინარეა ის, რომ ეს საკითხი გაიჭედა. ამავე დროს, ზუსტად იგივე პროცესია „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებით, იმიტომ, რომ მათაც არ აწყობდათ, ნიკა მელია პოლიტპატიმრის სტატუსით გამოსულიყო და შემდეგ პოლიტიკური ქულები დაეგროვებინა ამით, რომ ციხეში იყო და პოლიტპატიმრად აღიარეს.

ეს პრობლემა ადრეც იყო პარტიებს შორის – ინტერპრეტაცია იმაზე, თუ რა ხდებოდა, ვინ იყო დამნაშავე და ა.შ. ეს საკითხები გადაუწყვეტელი დარჩა, იმიტომ, რომ მოლაპარაკება კი იყო წარმატებული, მაგრამ ეს იყო ერთი ნაბიჯი, რომელმაც ხელი შეუწყო ამ სიტუაციის ოდნავ დასტაბილურებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პოლიტიკური კრიზისი ამოწურულია. ეს კრიზისი გრძელდება და ალბათ დიდი ხანი დასჭირდებათ იმისათვის, რომ პოლარიზებული გარემო, რომელიც ქართულ პოლიტიკაშია, იყოს დაძლეული. მთლიანობაში, ინტერპრეტირება და სხვადასხვაობა ამ თემასთან დაკავშირებით მოულოდნელი არ ყოფილა.

***– ანუ ისევ მოუწევს დასავლეთს ძალისხმევის ჩადება ქართულ პოლიტიკურ სივრცეში კრიზისის განსამუხტად?***

– კი. ამიტომაც შესთავაზა ევროპარლამენტმა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს დიალოგში ჩართვა. ჩვენ გვქონდა ასეთი შეხვედრა მედიისთვის, სადაც სამი ევროპარლამენტარი „ზუმის“ საშუალებით ჩაერთო და თქვენც იყავით მოწვეული ამ შეხვედრაზე. აქ ჩართული არიან უკრაინა, ჩრდილოეთ მაკედონია და სხვა ქვეყნები. იქაც იგივე პრობლემებია პოლარიზაციის მხრივ, იქაც დაპირისპირებებია. ევროპარლამენტი მუშაობს, რომ რაღაცნაირად დაძლეული იყოს და ყურადღება გამახვილდეს პრობლემების გადაჭრაზე, რეფორმებზე, როგორ უნდა იყოს დაძლეული პანდემია და ა.შ. იმაზეა აქცენტი, რომ არ მოქმედებდნენ ვიწროპარტიული ინტერესებით. ეს შემოთავაზება მნიშვნელოვანია და გამოყენებული უნდა იყოს.

ამას გარდა, თავად პარტიებმაც უნდა მოილაპარაკონ და საზოგადოებრივი დაკვეთაც ეს არის, რომ დასრულდეს პოლარიზაცია. რა თქმა უნდა, განსხვავებები უნდა იყოს პარტიებს შორის და ისინი მეტოქეები უნდა იყვნენ, მაგრამ არა – მტრები. ამაში დასავლეთს დასჭირდება გარკვეული ინვესტიციების ჩადება. როგორც ჩანს, ისინი მზად არიან ამისათვის.

***– მხარეებს აშშ-ის ბოლო არჩევნების მაგალითი მოჰყავთ ხოლმე და ამბობენ, რომ იქაც იყო პოლარიზაცია. ეს მაგალითი რამდენად საპირწონეა?***

– კი, იყო პოლარიზაცია, მაგრამ ეგ არ გამოდგება მაგალითად ჩვენთან მიმართებით, იმიტომ, რომ დასავლეთში და მათ შორის აშშ-ში არსებული პოლარიზაცია ეყრდნობა იდეოლოგიურ საფუძვლებს. ჩვენთან პოლარიზაციას არ აქვს იდეოლოგიური საფუძვლები და ამის კარგი მაგალითია „სი-არ-არ-სი“-ს შარშანდელი კვლევა, რომელიც აჩვენებს, რომ საზოგადოება კი არ არის პოლარიზებული, არამედ პოლიტიკური ლიდერები აკეთებენ პოლარიზაციას. ამას პოლარიზაციაც კი არ ჰქვია. ამას ჰქვია უკიდურესი პარტიული მიკერძოებულობა, იმიტომ, რომ პოლარიზაცია უნდა ეყრდნობოდეს იდეოლოგიურ რაღაცას, მაგალითად, მე და თქვენ გვქონდეს განსხვავებული შეხედულებები, მე ვიყო ლიბერალი, ის იყოს კონსერვატორი, ის – სოციალისტი და ა.შ. მაგრამ ჩვენ თემების გარშემო ვერ ვთანხმდებით – როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს ფუნქცია, საგარეო პოლიტიკა და ა.შ. ასეთი თემობრივი დისკუსია საქართველოში საერთოდ არ არის. აქ არის მიშა, გრიშა და ამას ვერ გავცდით. პარტიის მფლობელების გარშემო ვტრიალებთ, რომელთაც საკუთარი ტელევიზიები აქვთ და ცდილობენ, პოლარიზაცია ამის ბაზაზე იყოს. როგორც ჩანს, დიდად ამასაც ვერ ახერხებენ. გვახსოვს, რომ აქციებზე როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან ხალხი არ მოვიდა. პოლიტიკური კლასისთვის ესეც დასაფიქრებელია, იმიტომ, რომ ხალხიც გაიზარდა, ბევრი რამე ისწავლა ამ თვალსაზრისით. ხალხი ელოდება სხვა შემოთავაზებას პოლიტიკური პარტიებისგან. ეს ჩანს სოციოლოგიური კვლევებიდანაც. ეს არის სამუშაო ადგილები, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, როგორ უნდა გაუმკლავდეს პანდემიას და ა.შ.

***– კარს არის მომდგარი თვითმმართველობის არჩევნები. რას ელით, გადავერთვებით რეალურ საარჩევნო კამპანიაში თუ კრიზისი იქაც იჩენს თავს?***

– ეს დამოკიდებულია იმაზე, როგორ განვითარდება მოვლენები მოახლოებულ პერიოდში, ოპოზიცია რამდენად შეძლებს ერთიანობის შენარჩუნებას და ხომ არ მოხდება ისე, რომ ვინმემ ბოიკოტი გამოუცხადოს არჩევნებს. ეგეც არ არის გამორიცხული, იმიტომ, რომ ამ თემასთან დაკავშირებით ერთიანი შეხედულებები ჯერჯერობით არ არსებობს.

***– როგორ გგონიათ, ოპოზიციამ თბილისის მერად ერთიანი კანდიდატი უნდა დაასახელოს?***

– სავარაუდოდ, ალბათ, კი. სხვანაირად არც ერთ პარტიას არ აქვს ისეთი რეიტინგი, რომ მარტომ შეძლოს „ქართული ოცნების“ კანდიდატის დამარცხება და მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც მმართველ პარტიას უზარმა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე



შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# „მელიასთან ამნისტიის კანონპროექტი არაფერ შუაშია“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ქართულმა ოცნებამ“ სამომავლო საქმე გაიკეთა. კარგი იქნებოდა, რომ ამაში ამ ოპოზიციას მონაწილეობა არ მიეღო“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ლაშა, ვხედავთ, პარლამენტში ოპოზიცია შევიდა. ნიკა მელიას გათავისუფლების შემდეგ, არ არის გამორიცხული, ნაციონალური მოძრაობაც შევიდეს. ფიქრობთ, ეს ბრძოლა დასრულებულია?***

– პირველ რიგში, ოპოზიციის ნაწილი შევიდა პარლამენტში. რბილად რომ ვთქვა, ოპოზიციის ამ ნაწილმა იჩქარა. შეიძლებოდა, პროტესტის გაგრძელებისა და გაძლიერების ფონზე უფრო მეტი მიგვეღო, ვიდრე ახლა.

***– შეგიძლიათ დააკონკრეტოთ, რა?***

– 43%, რომელზეც არის საუბარი და რომელიც ვადამდელ არჩევნებთან არის მიბმული, „ქართულ ოცნებას“ აძლევს ხელს. ეს პირდაპირ შემიძლია გითხრათ. ეს არ არის ის, რასაც მთელი ოპოზიცია და საზოგადოება ითხოვდა. ეს არ არის საკითხის გადაწყვეტა. ამაზე წასვლა და დათანხმება არახელსაყრელი იყო ოპოზიციისთვის. 43% „ოცნებას“ აძლევს ჰანდიკაპს და არა ოპოზიციას. ხელისუფლებას შეუძლია ვადამდელი არჩევნების ჩაშლა და ის ყველაფერს გააკეთებს საამისოდ.

***– მოაგროვებენ?***

– საქმეც ეგაა, რომ გაუჭირდებათ, მაგრამ ყველაფერს გააკეთებენ, რომ მეტიც დაიწერონ. ამიტომ ვამბობ, რომ ბრძოლის გაგრძელებას ჰქონდა აზრი, მაგრამ ოპოზიციამ იჩქარა. ორ ძალიან მნიშვნელოვან საკითხში ჩვენ არ ვართ იმ მდგომარეობაში, რასაც ვითხოვდით.

***– მეორე საკითხი რომელია?***

– ამნისტიის კანონპროექტი, რომელიც საერთოდ არაფერში სჭირდებოდა ოპოზიციას. ახლა გამოდის, რომ მივიღეთ ამნისტიის კანონპროექტი, რომელიც აუცილებლად იქცევა კანონად და რომელიც აწყობს არა ოპოზიციას, არამედ ხელისუფლებას, „ქართულ ოცნებას“.

ეს კანონი ეხება იმ მაღალჩინოსნებს, რომლებმაც დაუკვეთეს ანტისაოკუპაციო მიტინგის დარბევა და ადამიანებისთვის თვალების გამოთხრა, პირდაპირ დასახიჩრება.

***– „ქართულმა ოცნებამ“ უკვე დაარეგისტრირა ამნისტიის შესახებ კანონპროექტი, რომელზეც გურამ მაჭარაშვილმა თქვა, რომ ჩვენი ვარიანტი ყველაზე ახლოს არის მიშელის შეთანხმებასთან.***

– აბა რას იტყვის მაჭარაშვილი. უმრავლესობის მიზანი იყო ამნისტიის მიღება და არა ოპოზიციის. რა თქმა უნდა, ეს კანონპროექტი პირველ რიგში შეეხება და აწყობთ გახარიებსა და სხვებს, რომლებმაც დაუკვეთეს და შეასრულეს ეს უკანონო ბრძანება. ყველამ უნდა გაიგოს, რომ ნიკა მელია არაფერ შუაშია. მელიასთან ამნისტიის კანონპროექტი არაფერ შუაშია, რადგან ის პოლიტპატიმარია.

„ქართულ ოცნებას“ ამნისტია უნდოდა სათავისოდ და არა ოპოზიციისთვის. მათ უნდათ, ამნისტია შეეხოს ყველას, რომ არც ერთი დამნაშავე, რომლებიც 20 ივნისის სადამსჯელო ოპერაციაში მონაწილეობდნენ, არ დაისაჯონ. გასაგებია, რომ ეს ხელისუფლება არავის დასჯის, მაგრამ არც ერთი ხელისუფლების პირობებში არ უნდა დაისაჯონ. „ქართულმა ოცნებამ“ სამომავლო საქმე გაიკეთა. კარგი იქნებოდა, რომ ამაში ამ ოპოზიციას მონაწილეობა არ მიეღო.

***– მეტს ვერ მივიღებდითო.***

– მე არ მჯერა ამის. თუ გავაგრძელებდით ერთიან ბრძოლას და არავინ შევიდოდა პარლამენტში, შეგვეძლო, ბევრად უფრო მეტი მიგვეღო. ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. თუ გაგრძელდებოდა აქციები, ზეწოლა, მაშინ სხვა გზა არ დარჩებოდათ არც დასავლელ მოკავშირეებს და არც „ოცნებას“, რომ არ დაკმაყოფილებულიყო ის მოთხოვნები, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში იდგა დღის წესრიგში. თუ ასე დავთმობთ ყველაფერს, მაშინ გამოვა, რომ ახლა თუ სასაფლაოზე, საკუთარ მიცვალებულებთან არ გვიშვებენ, ცოტა ხანში საკუთარ სახლებში არ შეგვიშვებენ.

ჯერ კიდევ არ არის გვიან. ბრძოლა უნდა გაგრძელდეს და აუცილებლად გაგრძელდება. ვნახეთ, როგორ მიიღო ხელისუფლებამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ახალი მუხლები, რომლებიც გამკაცრდა. ასე იცის ხელისუფლებამ, როდესაც ნახავს, რომ მას რაღაცა დაუთმეს. აშკარად ვხედავთ, რომ რეჟიმი უკან არ იხევს. არათუ უკან იხევს, ამკაცრებს კიდეც ქმედებას.

კანონის ამ ნაწილის გამკაცრებას მე პირდაპირ არჩევნებს ვუკავშირებ, ადგილობრივ არჩევნებს, რომელიც პირდაპირ არის მიბმული ვადამდელ არჩევნებთან. აშკარაა, რომ ხელისუფლებამ უკვე დაიწყო სამზადისი. ის ცდილობს, აქედანვე დაუპირისპირდეს პროტესტს, საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც გაბედავენ და ხმას ამოიღებენ უსამართლობის, გაყალბების წინააღმდეგ.

---

# „ოპოზიციამ თბილისის მერად საერთო კანდიდატი უნდა დაასახელოს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ზარი უპირატესობა აქვს როგორც ფინანსური, ისე ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების თვალსაზრისით. ბუნებრივია, ამაზე ისინი უარს არ იტყვიან. აქედან გამომდინარე, ეს არის მნიშვნელოვანი. თუმცა ამ ეტაპზე ოპოზიციაში ისიც ჩანს, რომ საერთო კანდიდატზე შეჯერება ძალიან გაჭირდება.

***– არსებობს ასეთი ვერსიაც, რომ გახარია მერად თავად არ იყრის კენჭს და ძმები არველაძეებიდან ერთ-ერთს დაასახელებს. რამდენად წონადი კანდიდატურა იქნება?***

– ცოტა რთულია ამაზე საუბარი და პროგნოზებისგან თავს შევიკავებდი, იქიდან გამომდინარე, რომ გახარიას ჯერ პარტიაც კი არ შეუქმნია და ბუნებაში რაც არ არსებობს, იმაზე კომენტარის გაკეთება ცოტა რთულია. ამიტომ მოვლენებს არ გავუსწრებ.

---

# ბათუმის ნავსადგურში ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის ხომალდი – „USCGC HAMILTON“ (WMSL 753) შემოვიდა



ამერიკულ დელეგაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი, I რანგის კაპიტანი რამაზ პაპიძე და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე დახვდნენ.

ხომალდის ვიზიტი აშშ-სა და საქართველოს შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის განმტკიცებას ემსახურება, ხელს უწყობს რეგიონში მშვიდობასა და სტაბილურობას, ასევე, ხაზს უსვამს ევროატლანტიკური უსაფრთხოებისთვის შავი ზღვის მნიშვნელობას.

„USCGC HAMILTON“ ბათუმის ნავსადგურს პირველად სტუმრობს. ხომალდს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტი მასპინძლობს.

ნავსადგურში შემოსვლამდე, ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის ხომალდისა და საქართველოს სანაპირო დაცვის ხომალდების – „დიოსკურიასა“ და „ოჩამჩირის“ მონაწილეობით, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, ერთობლივი საზღვაო წვრთნები გაიმართა. სწავლება მოიცავდა საზღვაო ტაქტიკურ მანევრებს, ძებნა-გადარჩენის პროცედურებსა და აშშ-ის ხომალდის კუთვნილი ვერტმფრენის გამოყენებით სხვადასხვა სასწავლო ელემენტს. ერთობლივი წვრთნები ხელს უწყობს ორი ქვეყნის სანაპირო დაცვის დანაყოფებს შორის ურთიერთთავსებადობის დონის ამაღლებას.

ვიზიტის ფარგლებში, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, I რანგის კაპიტანი რამაზ პაპიძე აშშ-ის ხომალდის მეთაურთან, I რანგის კაპიტან ტიმ ქრონინთან შეხვედრას ბათუმის სამმართველოში გამართავს.

ასევე, დაგეგმილია ეკიპაჟის წევრების ვიზიტი შინაგან საქმეთა სამინისტროს სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ფოთის ბაზაზე და საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრში (JMOC). ამერიკელი კოლეგები კი ქართულ დელეგაციებს ხომალდ „ჰამილტონზე“ უმასპინძლებენ.

აშშ-ის სანაპირო დაცვის ხომალდი ბათუმის ნავსადგურს 6 მაისს დატოვებს.

---

# ამირან გამყრელიძე „სინოფარმით“ აიცრა



დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ამირან გამყრელიძე „სინოფარმის“ ვაქცინით საჯაროდ აიცრა. ამირან გამყრელიძემ ვაქცინა ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში გუშინ, 4 მაისს, გაიკეთა.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 4 მაისს „სინოფარმით“ ვაქცინაცია იმუნიზაციის პროცესში ჩართულ 30 დაწესებულებაში 33 ამცრელი ბრიგადით დაიწყო, ხოლო 5 მაისიდან მათ რიცხვს კიდევ 44 სამედიცინო დაწესებულება დაემატება.

დღეისთვის ქვეყნის მასშტაბით სამივე ვაქცინის („ასტრაზენეკა“, „ფაიზერი“, „სინოფარმი“) ადმინისტრირება მიმდინარეობს 91 დაწესებულებაში 137 ბრიგადით.

ქვეყანაში „სინოფარმის“ 100.000 დოზაა შემოსული.

---

# ოკუპირებული აფხაზეთის ენერგოსისტემას რუსეთი ეპატრონება

## „ენერგეტიკა აფხაზეთის სუვერენიტეტის ნაწილია“

მარიამ მჭედლიშვილი

ენგურჰესის რემონტი ვადაზე ადრე მთავრდება. ქართველებისა და აფხაზების ერთობლივ მფლობელობაში არსებული მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის ამუშავება დიდი შეღავათია ენგურს მიღმა და ენგურგამოღმა საქართველოსათვის. თუმცა ამით ოკუპირებული რეგიონის ენერგოპრობლემები არ წყდება. ელექტროენერგიის მოხმარების ზრდამ და სისტემის მოძველებამ, ასევე მოხმარებული ენერგიის საფასურის გადაუხდელობის დამკვიდრებულმა პრაქტიკამ გამოიწვია ელექტროსისტემის რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის აუცილებლობა.

ოკუპირებული აფხაზეთის ვიცეპრემიერი, ეკონომიკის მინისტრი კრისტინა ოზგანი ამ დღეებში მოსკოვში შეხვდა რუსეთის ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელობას. რუსეთიდან ელექტროენერგიის მოწოდების გარდა, შეხვედრაზე განიხილეს აფხაზეთში არსებული გადამცემი და გამანაწილებელი ხაზების აღდგენა. ამისათვის იქმნება სპეციალური პროგრამა.

გადაწყვეტილია, რომ რუსეთი ოკუპირებულ აფხაზეთში შეიტანს ელექტროენერგიის მრიცხველებს, ასევე მასალებს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის, „აჩგუარას“ რემონტისათვის.

ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ რუსეთი აქტიურდება აფხაზეთის ენერგოსისტემაში და ეპატრონება რეგიონის ენერგოსისტემას.

ამას აფხაზეთში ჰყავს მოწინააღმდეგეები. აფხაზეთის საზოგადოებისთვის მიუღებელია როგორც ენერგეტიკული, ისე სხვა სტრატეგიული ობიექტების, აქტივების გასხვისება.

– ენერგეტიკა აფხაზეთის სუვერენიტეტის ნაწილია. ინვესტიციები უკვე ჩადებულია ენგურჰესში, – აცხადებენ აფხაზეთის დღევანდელი საოკუპაციო ადმინისტრაციის ოპონენტები.

პარტია „აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმი“ მოუწოდებს დე ფაქტო ხელისუფლებას, არ დაუშვას „ქვეყნის სტრატეგიული აქტივების“ გაყიდვა.



მისი წარმომადგენლების აზრით, აფხაზეთის ახლანდელი ხელისუფლება, რომელმაც გადაწყვიტა რესპუბლიკის სიმდიდრის გასხვისება, არ მოქმედებს საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ელემენტარული მექანიზმების გათვალისწინებით. ოპონენტები ხელისუფლებას აქტივების გაყიდვის ნაცვლად რეფორმებს ურჩევენ:

– რეფორმებისა და ცვლილებების გზა რთული, მაგრამ უალტერნატივოა. ის მოითხოვს ძალისხმევას. აქტივების გაყიდვა პრიმიტიული და ჩიხური გამოსავალია.

აფხაზეთის ეკონომიკაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა და უფულობა, ავტორების აზრით, არგუმენტად არ გამოდგება: 2015 წელს გაუქმდა საბაჟო გადასახადი რუსეთთან ვაჭრობისას. ბიუჯეტს დააკლდა 400 მილიონი რუბლი. აფხაზეთის ხელისუფლებას აქტივები მაშინაც კი არ გაუყიდია. 2015-2017 წლებში მოხდა ეკონომიკის რეალური სექტორის ზრდა. გამარტივდა ლიცენზიების გაცემა, ტარდებოდა ტენდერები, ხალხი ჩაება ეკონომიკურ საქმიანობაში. მაშინ იყო ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული ეკონომიკა და საკუთარი რესურსების გათვალისწინება. ახლანდელი ხელისუფლება რეფორმებს უფრთხის და არ ითვალისწინებს ეროვნულ ინტერესებს.

ოპონენტები ბჟანია-ანქვაბის გუნდს კრიპტოვალუტის გამომუშავების წინააღმდეგ მიმდინარე პოლიტიკას უწუნებენ. მათი თქმით, აფხაზეთში კრიპტოვალუტის მაინინგი ეკონომიკის ჩრდილოვან სეგმენტად იქცა. მან გააჩინა კორუფციული სქემები.

– ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიული დარგებისთვის ბევრი სისხლია დაღვრილი, – შეახსენებენ ხელისუფლებას კრიტიკოსები.

აფხაზეთის ეკონომიკაში გონივრული ინვესტირების აუცილებლობაზე გარკვეული ხნის წინ ისაუბრა მოსკოვში დაწინაურებულმა სახელმწიფო მრჩეველმა ინალ არძინბამ. მისი სიტყვებით, რუსეთიდან ინვესტიციების მოსაზიდად საჭიროა სწორი კონტაქტები რუსეთის უწყებებთან, ასევე – რეგიონებთან. სავაჭრო-ეკონომიკური და საინვესტიციო მიმართულების მნიშვნელოვანი პოტენციური მიმართულებაა ასევე სირია.

### შევა თუ არა ოკუპირებულ რეგიონში სირიის ინვესტიციები

შეგახსენებთ, რომ სირიამ ცნო აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობა. აფხაზებს იმედი აქვთ, რომ ამ სახელმწიფოდან აფხაზეთში ფულიც შევა.

აფხაზეთის ახლანდელ ადმინისტრაციას ქართველებთან დიალოგი და სავაჭრო ურთიერთობებიც სურდათ, თუმცა ამაზე საუბარი შეწყდა. ბჟანიას, ანქვაბსა და შამბას ამის გამო მოღალატეობა დაჰბრალდათ.

ინალ არძინბას მიაჩნია, რომ საქართველო აფხაზეთის მიმართ ამჟამად იეზუიტურ სტრატეგიას ირჩევს. ეს არის „ჩაბმა აღიარების გარეშე“.

მისი თქმით, ქართველებს აფხაზებისთვის უნდათ იმის დემონსტრირება, რომ ხარისხიანი მედიცინა და სოციალური სტანდარტები აქვთ, რათა აფხაზები მათთან დაბრუნდნენ.

# დავითგარეჯში ივერი მელაშვილსა და მთავარ არხს ფიზიკურად გაუსწორდნენ

გუშინ, 4 მაისს, თავდასხმა მოხდა „მთავარი არხის“ გადამღებ ჯგუფზე დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში – ნაცემია ივერი მელაშვილი, დამტვრეულია „მთავარი არხის“ კამერა და ტექნიკა.

ადგილობრივებმა „მთავარი არხის“ გადამღებ ჯგუფსა და ივერი მელაშვილს გზა გადაუკეტეს. ისინი საგარეჯოში გამოკითხვაზე მიდიოდნენ, თუმცა ადგილობრივებმა მათ ამის საშუალება არ მისცეს. ისინი სიტყვიერად დაუპირისპირდნენ ივერი მელაშვილს.

ადგილობრივები მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ „მთავარი არხის“ გადამღებ ჯგუფს.

როგორც „მთავარი არხის“ ჟურნალისტი ყვება, სასულიერო პირების გაღიზიანება დავითგარეჯში ივერი მელაშვილის მისვლამ გამოიწვია. მათ დააზიანეს „მთავარი არხის“ კამერა, ფიზიკურად გაუსწორდნენ გადამღებ ჯგუფს. ადგილზე იყო სასაზღვრო პოლიციაც, რომელსაც არაფერი მოუმოქმედებია.

„მთავარი არხის“ გადამღებმა ჯგუფმა ადგილზე გამოიძახა საპატრულო პოლიცია, რის შემდეგაც სასულიერო პირებმა ადგილი დატოვეს.

როგორც გადამღები ჯგუფი ყვება, სასულიერო პირები ნასვამ მდგომარეობაში იყვნენ და აგრესიით გამოირჩეოდნენ.

სასულიერო პირები არხის ჟურნალისტ ნინუცა კეკელიასა და ოპერატორს ფიზიკურად იმ დროს გაუსწორდნენ, როცა გადამღები ჯგუფი, დავითგარეჯში, ივერი მელაშვილთან ერთად იმყოფებოდა და „შაბათის მთავარის“ სიუჟეტზე მუშაობდა.

ივერი მელაშვილმა მომხდარზე ასეთი კომენტარი გააკეთა:

– ვფიქრობ, რომ ეს ადამიანები, გინდა სასულიერო პირები და გინდა სოფლის მოსახლეობა, რომელიც დაგვხვდა, შეცდომაში შეიყვანეს. ზოგი შეიძლება იყოს პროვოკატორი, მაგრამ ეს ადამიანები შეცდომაში შეიყვანეს. წარმოიდგინეთ, მართალ კაცს ჩვეულებრივი ადამიანი მიპირისპირდება, მეძახის მოღალატეს, მაგინებს და შეურაცხყოფას მაყენებს. მათ ჰგონიათ, რომ რატომღაც, ვითომ მელაშვილმა თქვა, რომ გარეჯი საქართველო არ არის, გარეჯი რომ საქართველოა, რად უნდა ამას ბევრი მტკიცება. უბრალოდ, სიმართლე ის არის, რომ ამ დიდი



ტერიტორიის ნაწილი, რაზეც განთავსებულია ეს ისტორიული სამონასტრო კომპლექსი, საბჭოთა კავშირის დროს, 1921 წელს და 29 წელს მოხვდა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. ვისურვებდი, რომ მალე გაირკვეს ყველაფერი, თქვენ იცით, რომ სასამართლო პროცესი მიმდინარეობს.

დავითგარეჯში მომხდარ ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება 126-ე მუხლით, ძალადობის ფაქტზე დაიწყო.

# ნიკა მელიას გირაოს გადახდას ბრალდებულის თანხმობა არ სჭირდება



ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ბრალდებული თავმჯდომარის, ნიკა მელიას ადვოკატ გიორგი კონდახიშვილის განცხადებით, მელიას პატიმრობიდან გათავისუფლებისთვის გირაოს გადახდას ბრალდებულის თანხმობა არ სჭირდება.

როგორც კონდახიშვილი განმარტავს, ნიკა მელიას თანხმობა გირაოსთან დაკავშირებით, დღის წესრიგშიც არ დგას. ადვოკატის თქმითვე, ხელისუფლებას მელიას პატიმრობაში ყოფნა პრობლემას უქმნის, თუმცა, მისი თავისუფლებაში ყოფნა უფრო პრობლემური იქნება.

– შევხვდით და სხვადასხვა საკითხები გავიარეთ. რაც შეეხება გირაოს, ნიკა მელიას თანხმობა საერთოდ, არც სამართლებრივად და არც სხვა მხრივ, დღის წესრიგში არ დგას. ხელისუფლების დაქვემდებარებაშია პროკურატურა, სასამართლო და ნებისმიერ დროს შეუძლია ხელისუფლებას მიმართოს სასამართლოს, გირაო მოითხოვონ, ნიკა მელიას თანხმობა არაფერ შუაშია. აბსოლუტურად არ არის საჭირო ნიკა მელიას თანხმობა გირაოზე, ნებისმიერ დროს შეუძლია პროკურატურას სასამართლოს მიმართოს და ნიკა მელია თავისუფლდება სხდომათა დარბაზიდან.

არც სამართლებრივად და არც სხვა მხრივ, ნიკა მელიას თანხმობა არაფერ შუაშია, ისევე, როგორც ამნისტიის შესახებ კანონთან დაკავშირებით, ნიკა მელიას თანხმობა ვერანაირ ზეგავლენას ვერ ახდენს, ზუსტად ანალოგიურადაა გირაოსთან დაკავშირებით თანხმობაც. ნიკა მელიას გათავისუფლების გასაღები არის ხელისუფლების ხელში, ისევე, როგორც მისი დაპატიმრება იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება, ასევე მისი გათავისუფლება პოლიტიკური პატიმრობიდან არის ხელისუფლების ხელში.

რა თქმა უნდა, ხელისუფლებისთვის ნიკა მელიას ციხეში ყოფნა პრობლემაა, მაგრამ, როგორც ჩანს, მისთვის უფრო დიდი პრობლემაა ნიკა მელიას თავისუფლებაში ყოფნა, ამიტომ ყველაფერს გააკეთებენ, რომ მისი პატიმრობა გაახანგრძლივონ და ისრები მასზე გადმოიტანონ. ცდილობდნენ, საზოგადოება დაერწმუნებინათ, რომ გასაღები ნიკა მელიას ხელში იყო, მაგრამ 13 აპრილს, როცა პროცესი ჩატარდა, პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა, – განაცხადა კონდახიშვილმა.

# ნარკოვაჭრობაში ბრალდებული 4 პირი დამნაშავედ ცნეს

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ორგანიზებული ჯგუფის მიერ ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა-გასაღებასა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში ბრალდებული დ.ჯ., ფ.ბ., ა.მ. და შ.ვ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ დ.ჯ., ფ.ბ., ა.მ. და შ.ვ. 2019-2020 წლებში სოფელ ფონიჭალაში სისტემატურად ახორციელებდნენ ნარკოტიკული საშუალება ,,ჰეროინის“ უკანონო შეძენას, დაფასოებასა და რეალიზაციას.

გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ აღნიშნული პირები კონკრეტულ ლოკაციებზე სარეალიზაციოდ გამზადებულ ნარკოტიკულ საშუალებებს ათავსებდნენ და მას შემდეგ, რაც ნარკოტიკული ნივთიერების შესაძენი თანხა დისტანციურად, ონლაინტოტალიზატორების ანგარიშებზე ჩაირიცხებოდა, კლიენტები ტელეფონის მეშვეობით მითითებულ ადგილებზე მიჰყავდათ.

„სისტემატური ნარკოვაჭრობის შედეგად, ორგანიზებული ჯგუფის ანგარიშებზე 2 მილიონ ლარზე მეტი უკანონო შემოსავალი იქნა მიღებული. თანხის წარმომავლობის დამალვისა და ლეგალიზაციის მიზნით, ჯგუფის წევრებს გარკვეული პერიოდულობით ჩარიცხული თანხები ანგარიშიდან გადაჰქონდათ ,,თამაშებში“ და მცირე გათამაშებას ახორციელებდნენ, რის შემდგომაც თანხა უკან ბრუნდებოდა და მისი განაღდება როგორც ტოტალიზატორის სალაროებიდან, ისე „ზერო ბარათების“ გამოყენებით, სხვადასხვა ბანკომატიდან ხდებოდა. ასევე დ.ჯ., ფ.ბ., ა.მ. და შ.ვ. ნარკოტიკებით ვაჭრობის შედეგად მიღებული უკანონო შემოსავლებით უძრავ-მოძრავი ქონების შეძენას ახდენდნენ.

დ.ჯ.-ს, ფ.ბ.-ს, ა.მ.-სა და შ.ვ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის ,,ა“, ,,ბ“ ქვეპუნქტებით (ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა-გასაღება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ) და 194-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა“, ,,გ“ ქვეპუნქტებით (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ) წარედგინათ და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ოთხივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად ფ.ბ.-ს და ა.მ.-ს 11-11 წლით, ხოლო დ.ჯ.-ს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

რაც შეეხება შ.ვ.-ს, მან გამოძიებასთან ითანამშრომლა და ხელი შეუწყო მტკიცებულებათა მოპოვებას. აღნიშნულის გათვალისწინებით მასთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა, რომლის საფუძველზეც სასჯელის სახით 4 წლით



თავისუფლების აღკვეთა პირობით მსჯავრთან ერთად განესაზღვრა.

სასამართლო გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულებს ასევე ჩამოერთვათ ნარკოვაჭრობის შედეგად მიღებული თანხა და უკანონო შემოსავლებით შეძენილი ქონება – 1 საცხოვრებელი ბინა და 5 სატრანსპორტო საშუალება“.

# სამხედრო დათა ნაროშვილმა ცოლის მეგობარი დავით ქობულაძე დუელში გამოიწვია



დუელი 21-ე საუკუნეში – ქუთაისში კაცმა ცოლის მეგობარი დუელში გამოიწვია: შესთავაზა სურამის ტყეში წასვლა, იარაღის შერჩევა და შემდეგ ჩვენგან მხოლოდ ერთ-ერთი უნდა დაბრუნდეს ცოცხალიო. ამ შეთავაზებას წინ უძღოდა მესიჯები და ზარები სიცოცხლის მოსპობის მუქარით და ა.შ.

მუქარების და დუელის იდეის ავტორი, საბოლოოდ, დააკავეს, მაგრამ სასამართლომ ჩათვალა, რომ მისგან დიდი საფრთხე არ მოდიოდა და ის დარბაზიდან 2.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

ეს მამაკაცი ყოფილი სამხედრო, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მეოთხე ქვეითი ბრიგადის უმცროსი სერჟანტი დათა ნაროშვილია.

დაზარალებული დავით ქობულაძე ამბობს, რომ დათა ნაროშვილის გირაოთი გამოშვების შემდეგ, მუქარის შემცველი შეტყობინებები კიდევ მიიღო, თუმცა ამჯერად ამ წერილების ავტორი ანონიმი იყო.

მას არსებულ ვითარებაში ერთადერთ გამოსავლად ქვეყნიდან გადახვეწა მიაჩნია, რადგან ფიქრობს, რომ სახელმწიფოს ძალოვანმა სტრუქტურებმა მისთვის მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად ვერაფერი გააკეთეს.

მუქარის ფაქტზე აღძრული ამ სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გაიმართება. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში მაქსიმალური სასჯელი, რაც პირს ამ ქმედების გამო შეიძლება შეეფარდოს, 1 წლით თავისუფლების აღკვეთაა.

# მესტიაში ტურისტი ქალი დაიღუპა



3 მაისს მესტიაში, გულის უღელტეხილზე, ტურისტი ქალი ხევიდან გადავარდა და დაიღუპა. საძიებო-სამაშველო ოპერაციის განხორციელებას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ადასტურებს.

უწყების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შემოვიდა ინფორმაცია, რომ მესტიაში, გულის უღელტეხილზე, იმყოფებოდა ტურისტი, რომელიც ითხოვდა მაშველების დახმარებას. შეტყობინების ინიციატორის გადმოცემით, მისი თანმხლები ქალი ხევში სიმაღლიდან გადავარდა და, სავარაუდოდ, იყო გარდაცვლილი.

მეხანძრე-მაშველებმა უღელტეხილზე მყოფი მამაკაცი ა.ვ. უვნებლად იპოვეს და ვერტმფრენში აიყვანეს, ხოლო ხევში გადავარდნილი ქალის, ზ.გ-ს საძიებო-სამაშველო ოპერაცია დაუყონებლივ დაიწყეს.

სამუშაოების შედეგად ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა ქალის ცხედარი, რომელიც სამაშველო ჯგუფების მიერ ხევიდან უკვე ამოსვენებულია“, – წერია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# დოესში მერსედესი ჰონდას დაეჯახა

## 2 ადამიანი დაშავდა



3 მაისს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ დოესში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 2 ადამიანი დაშავდა.

თვითმხილველთა თქმით, სოფლის ცენტრში გადაჭარბებული სისწრაფით მოძრავი ,,მერსედესის“ მარკის ავტომანქანა საპირისპიროდ მოძრავ ,,ჰონდას“ მარკის მსუბუქ ავტომობილს შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად დაშავდა ,,მერსედესის“ მძღოლი და მეორე ავტომობილში მყოფი ახალგაზრდა ქალი. დაშავებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს.

თვითმხილველთა ინფორმაციით, „მერსედესს“ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდა მართავდა. შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავები მუშაობენ. შსს-ს ინფორმაციით, მომხდარ ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლით მიმდინარეობს.

# ავტოსაგზაო შემთხვევა სენაკში

## დაშავებულია 10 წლის ბავშვი

სენაკში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 10 წლის ბავშვი დაშავდა. ის სასწრაფო დახმარების ჯგუფმა ქუთაისში ბავშვთა კლინიკაში გადაიყვანა. არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

მანქანაში დაშავებულთან ერთად დედა და კიდევ ერთი არასრულწლოვანი იმყოფებოდნენ. მათ დაზიანებები არ მიუღიათ.

ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი გადაჭარბებული სიჩქარე და სატრანსპორტო მოძრაობის წესების დარღვევა გახდა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო. დანაშაული მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

# პოლონეთში პაატა ჩიქობავა დაიკარგა და მერე გამოჩნდა



პოლონეთში საქართველოს მოქალაქე დაიკარგა.

პაატა ჩიქობავა პოლონეთში 2019 წელს ოჯახთან ერთად გაემგზავრა და ქალაქ პოზნანში ტაქსის მძღოლად მუშაობდა.

პაატა ჩიქობავას ცოლმა ირინე შამუგიამ „ტვ პირველთან“ კომენტარი გააკეთა.

შამუგია ამბობს, რომ მისი ქმარი პოზნანში ცხოვრობდა, თვითონ და შვილი კი სხვა ქალაქში იმყოფებიან. ის აღნიშნავს, რომ მეუღლე ბოლოს 19 აპრილს შეხვდა, როცა, მისი თქმით, „პაატამ შვილი 5 წუთით ნახა“.

– იმავე საღამოს დავუკავშირდი და ვკითხე, მივიდა თუ არა პოზნანში, ის სახლში მშვიდობით ჩავიდა. მეორე დღესაც მომიკითხა, დავურეკე, 20-შიც სახლში იყო. მეორე დღესაც ვცადე დარეკვა, თუმცა მასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა, – აცხადებს დაკარგული კაცის ცოლი.

ირინა არ გამორიცხავს, რომ მისი ქმარი დეპორტირებულთა სიაში იყოს.

– სამუშაო ვიზას დრო ჰქონდა გასული. შეიძლება, დეპორტაციაში მოყვა. პოლიცია ხაზზეა და გაირკვევა, არის თუ არა დეპორტაციაში, თუ არადა, ძებნას გამოაცხადებენ. პოლიციას რომ დაეჭირა, კომუნიკაციის საშუალებას მისცემდნენ. ყველა ეძებს. პაატას ცუდი ურთიერთობა არავისთან ჰქონდა, – განაცხადა გაუჩინარებულის ცოლმა.

საბოლოოდ პაატა ჩიქობავა იპოვეს. ამის შესახებ „კურიერს“ ინფორმაცია ჩიქობავას ახლობელმა მიაწოდა, რომელიც განაცხადა, რომ ის დაკავებულია.

# ბაიდენმა აშშ-ში შემსვლელ ლტოლვილთა ზღვარი 4-ჯერ გაზარდა



აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი აცხადებს, რომ შეერთებულ შტატებში მისაღები ლტოლვილების ზღვარი 62.500-მდე გაიზრდება.

თეთრი სახლის ლიდერის განცხადებით, ის წინა ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას აუქმებს, რომელმაც მისაღები ლტოლვილების რაოდენობის ზღვარი ისტორიულ მინიმუმამდე, 15.000-მდე შეამცირა.

შესაბამისად, ბაიდენი ქვეყანაში შემსვლელ ლტოლვილთა ზღვარს 4-ჯერ ზრდის.

# მეხიკოს მეტროში ხიდი ჩაინგრა
## 20 ადამიანი დაიღუპა, 70 დაშავდა



გუშინ, 4 მაისს, მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში მეტროს ხიდი ჩამოინგრა, რის შედეგადაც, სულ მცირე, 20 ადამიანი დაიღუპა, 70 კი დაშავდა.

მეტროს ნანგრევებში რამდენიმე მანქანაც მოყვა.

ადგილზე მაშველები სამძებრო-სამაშველო ოპერაციას აგრძელებენ. არ არის გამორიცხული, დაღუპულთა რიცხვი გაიზარდოს.

ადგილობრივები ამბობენ, რომ ხიდზე ბზარები 2017 წელს მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ გაჩნდა.

ტრანსპორტის ხელმძღვანელობამ ადგილი შეაკეთა. როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

# დანია დაწყებით სკოლებსა და დახურული ტიპის ობიექტებს ხსნის

დანიაში მიმდინარე კვირაში დაწყებითი სკოლები სრულად გაიხსნება.

დახურულ სივრცეებში საქმიანობის გაგრძელების საშუალება მიეცემათ კინოთეატრებს, თეატრებს, საკონცერტო და სპორტდარბაზებსა და სხვა ობიექტებს.

გახსნილ ობიექტებში შესვლა დამოკიდებული იქნება „კორონაპასპორტებზე“, სადაც აღნიშნულია, არიან თუ არა მფლობელები ვაქცინირებულები ან ვირუსისგან გამოჯანმრთელებულები, ან არის თუ არა მათ მიერ ბოლო 72 საათის განმავლობაში ჩატარებული კოვიდტესტის პასუხი უარყოფითი.

ცვლილებები ძალაში 6 მაისიდან შევა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# განძის მაძიებლებმა იპოვეს მონაცემები, რომლებიც ფაშისტების ოქროს სამალავს ეხება



პოლონურ-გერმანული ფონდის „სილეზიური ხიდის“ განძის მაძიებლები ემზადებიან გათხრებისთვის იმ ადგილზე, სადაც, მათი მონაცემებით, ფაშისტების მიერ გადამალული 10 ტონა ოქრო ინახება.

„სილეზიური ხიდი“ ამტკიცებს, რომ მონაცემები სამალავზე მიღებულია იმ საბუთებიდან, რომლებიც სს-ის ფორმირების ოფიცრების მემკვიდრეებთან ინახებოდა. სხვა მასალებთან ერთად, ფონდის განძის მაძიებლების ხელში აღმოჩნდა სს-ის მაღალი ჩინის ოფიცრის მიერ შედგენილი დღიური, რომელიც მიქაელის ფსევდონიმით სარგებლობდა. ის ჩამოთვლის 11 ადგილს ქვემო სილეზიაში და პოლონეთის ქალაქ ოპოლეს რაიონში, სადაც საბჭოთა არმიის შეტევის დაწყებამდე იქნა გადამალული ოქრო, მოპარული ხელოვნების ნაწარმოებები და სხვა ძვირფასი ნივთები.

მიქაელის დღიურში მოხსენიებული ერთ-ერთი სამალავი ბარონ ფრიდრიხ ვილგელმ ფონ ზეიდლიც-კურცბახის ყოფილ სასახლეში აღმოჩნდა, რომელიც პრუსიის მეფის ფრიდრიხ დიდის ცხენოსან არმიას მეთაურობდა. ის პოლონეთის ქალაქ ვროცლავიდან დაახლოებით 50 კილომეტრში მდებარეობს და მეორე მსოფლიო ომის დროს მას გერმანიის ჯარები იყენებდნენ. 1945 წლის 12 მარტს მიქაელმა თავის დღიურში ჩაწერა, რომ განძის ნაწილი სასახლის ორანჟერეაში, მიწაში ჩაფლეს.

მიქაელის ოპერაციის ერთ-ერთი მონაწილე იყო სს-ის ოფიცერი, გვარად ფონ შტაინი. მან სამალავისთვის ყურისგდება დაავალა თავის საყვარელს, ინგას, რომელიც ფონ ზეიდლიც-კურცბახის ყოფილ სასახლეში მსახურობდა.

რამდენიმე თვეში ომი გერმანიის დამარცხებით დასრულდა. ინგა 60 წლის შემდეგ გარდაიცვალა და მთელი ამ ხნის განმავლობაში სამალავს თვალყურს ადევნებდა. ამ დროის განმავლობაში ფონ ზეიდლიც-კურცბახის ყოფილი სასახლე ხელიდან ხელში გადადიოდა. ის თავდაპირველად – საბჭოთა, შემდეგ პოლონეთის არმიას ჰქონდა დაკავებული. შემდეგ შენობა ადგილობრივ საბჭოს გადასცეს. მოგვიანებით მას საბავშვო ბაღისა და კინოთეატრის სახით იყენებდნენ.

ამჟამად ყოფილი სასახლე „სილეზიურ ხიდს“ აქვს იჯარით აღებული. განძის მაძიებლები გათხრების დაწყებას უახლოეს დღეებში აპირებენ. ისინი იქ დამალულ განძს დაახლოებით 0,5 მილიარდ ფუნტ სტერლინგად აფასებენ

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ნინი ამირეჯიბი ზურა რთველიაშვილზე: „სიკვდილის კულტურა დაამარცხა!“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

გაუკეთდებოდა, ვერც ქიმიოთერაპია დაენიშნებოდა, მაინც არ დავიჯერეთ არც მე და არც მისმა საოცარმა მეგობრებმა. ექიმისგან ატირებული გამოვდიოდი, ცრემლებს ვიწმენდდი, სახეზე მაკიაჟს ვიკეთებდი და ზურასთან ბედნიერი სახით შევდიოდი. ცხოვრებაში პირველად ვატყუებდი, ვატყუებდი, რომ სიმსივნის პირველი სტადია ჰქონდა, რომ მთავარი პრობლემა თრომბები იყო ფეხზე, რომელიც თანდათან მცირდებოდა, თუმცა დრო იყო საჭირო შვედეთში წასასვლელად. განიცდიდა, მაგრამ იმედიანად იყო. რამდენჯერმე მითხრა, რა კარგია, ირაკლიმ რომ ჩემს დათრომბილ ფეხს მოუსწრო, შენ ხომ კუჭის პრობლემა გეგონაო, რა კარგია, რომ არ დაგიჯერე, ექიმთან არ წაგყევი და ზონდი არ გადამაყლაპე, ზონდის გადაყლაპვით ხომ ის თრომბი გასკდებოდა და ისე მოვკვდებოდი, ვერც გაიგებდითო. ესე იგი ,,სიკვდილი არ მიწერიაო“. ეს სიტყვები სამყაროს ნიშნებად და კანონად მივიღე. ექიმებისთვის როგორ დამეჯერებინა, როცა ზურას სიტყვა ყველაზე მაგიური კანონი იყო ჩემთვის. თუმცა ერთი პატარა დეტალი გამომრჩა. მთელი ერთი თვის განმავლობაში, ამ სიტყვებში თავად დავარწმუნე, დავაჯერე, რომ უკვდავი იყო და ზუსტად ამიტომ უკვე თავად არ აძლევდა თავს უფლებას, ჩემს სიტყვებში ეჭვი შეეტანა.

მესამედ მაშინ მომიკვდა, როცა ალადაშვილის რეანიმაციაში მოათავსეს და თქვეს, რომ რეანიმაციაში მის ყოფნას აზრი არ ჰქონდა, რომ უკვე ძალიან ცოტა დრო იყო დარჩენილი და ჯობდა, სახლში მიეღო სიკვდილი.

მეოთხედ მაშინ მომიკვდა, როცა სახლში გამოვიყვანეთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, წინა ღამით, გარდაცვალებამდე, მის მეგობრებთან ერთად სამომავლოდ ისევ შვედეთში სამკურნალოდ წასვლას ვგეგმავდით.

მეხუთედ მაშინ მომიკვდა, როცა ის უკანასკნელი დილა გათენდა, როცა ექიმს დავურეკე და სასწრაფოდ სატურაციოსა და წნევის დარეგულირება მოვთხოვე, მან კი მიპასუხა, რომ დრო ახლოვდებოდა, ღვიძლი ეთიშებოდა ორგანიზმს და ღმერთი არ იყო, რომ მისთვის ეშველა. მაშინაც ზურას მეგობრებს ხელი ჩავჭიდე და მთელი არსებით მწამდა, რომ თუ ხელებს გავუთბობდით, სატურაციო აიწევდა, ზურა სუნთქვას შეძლებდა, წნევა დაბლა ჩამოვიდოდა, გალურჯებული და გაყინული სხეული თანდათან გალღვებოდა, ყველაფერი დასტაბილურდებოდა, ამ კრიზისს გადავივლიდით და აუცილებლად წავიდოდით შვედეთში სამკურნალოდ.



გარდაცვალებამდე ერთი საათით ადრე მითხრა, რომ სულ ჩემთან იქნებოდა, ერთი საათის შემდეგ კი ცხოვრებაში პირველად მომატყუა, პირველად მიღალატა და სამუდამოდ დამტოვა.

ყველას თავისი წილი ზურა ჰყავს, თითოეულის წილი ზურა უნიკალური და საოცარია. თუმცა ეგოისტურად ყველაზე გულწრფელი, რომანტიკული, ბობოქარი, არანორმალური და ამავდროულად სენტიმენტალური ჩემი წილი ზურა იყო, ის წილი ზურა, რომლის სახითაც ჩემს არსებაში ღმერთი მომიკვდა. ის წილი ზურა, რომელიც 25 წლით უფროსი იყო ჩემზე და მამის, მეუღლის, მზრუნველი მეგობრის, შეყვარებულისა და ხანდახან შვილის როლსაც ითავსებდა.

ყველაზე ბობოქარ დადა-მეფეს სიყვარულის გამო ყველაზე გულწრფელი ტირილიც შეეძლო. შეეძლო, სული მოეცა შენთვის, შენ გამო ყველაზე მაგიური სიყვარულის გიჟური რიტუალები ეკეთებინა და დაერწმუნებინე, რომ ამ სიყვარულმა ქალღმერთად გაქცია. იქამდე, სანამ განაყოფიერების ქალღმერთი ჩვენი სიყვარულის ნაყოფს – გიორგის ჩასახავდა ჩემს სხეულში, ექიმებმა მითხრეს, რომ არასდროს შვილი არ გვეყოლებოდა. მითხრეს, რომ ბევრი, ძალიან ბევრი მკურნალობა მჭირდებოდა, შემდეგ კი ხელოვნური განაყოფიერებით იყო მცირე შანსი, თუმცა მზად უნდა ვყოფილიყავი – მუცელი ორ თვეში აუცილებლად მომეშლებოდა. ექიმებისგან გამოსულმა, მხოლოდ ერთი რამ მითხრა: ,,ნინ, შენ ქალღმერთი ხარ! ჩვენს სიყვარულს კი ყველაფერი შეუძლია“. მთელი არსებით ვიწამე და ოთხ თვეში ყოველგვარი ხელოვნური ჩარევის გარეშე პატარა რთველომ დაიდო ჩემს მუცელში ბინა. მის ამ სამყაროში დაბადებას კი 15 საათი სამშობიარო ბლოკში ელოდა ამქვეყნად ყველაზე ბავშვური ზურა, რომელსაც არც ერთი წუთი ჩემთვის ხელი არ გაუშვია.

ზურას გვერდით ცხოვრება ვალდებულებას ჰგავდა, ვალდებულებას, რომლისთვისაც არასდროს არ უნდა გეღალატა. უნდა გეწამა მისი, გაგეგო, მიგეღო, გერწმუნა მისი ძალების და გყვარებოდა მთელი არსებით, სამყაროსხელაზე, იმის იქითაც. სხვა სიყვარულს პოეზიის ღმერთი არ იმსახურებდა, რადგან თავად ატარებდა ყველაზე დიდ და მაგიურ სიყვარულს, რომლის ძალასაც მართლაც ყველაფერი შეეძლო. რომლის ძალასაც ამქვეყნად ყველა ომის მოგება და პოეზიის დიქტატურის დამყარება შეეძლო!

ყველაზე მეტად მაინც ამქვეყნიდან ფიზიკურ გასვლას ვერ ვპატიობ, თუმცა ერთი რამ შეძლო – სიკვდილის კულტურა დაამარცხა! დაამარცხა სამუდამოდ, ყველა წესზე, კანონზე, დოგმაზე მაღლა დადგა, თავისი მოულოდნელი წასვლა სიკვდილის პერფორმანსად აქცია. პერფორმანსის ბოლოს კი აღდგა ჩემში ყველაზე დიდი, ზებუნებრივი ძალით და მარგუნა პატივი, ეს სიყვარული და მისი სახელი საკუთარ სხეულში სამუდამოდ დავაბინავო, ვაქციო ,,ერთსულ“ და ,,ერთხორც“, როგორც მანამდე, ახლა უფრო მეტადაც ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რომ ყოველთვის გვახსოვდეს, ახლაც, მერეც, ყოველთვის.

ამ ტკივილს უკვე არც არაფერი ეშველება, ამ ტკივილთან ერთად მომიწევს ცხოვრება. მხოლოდ ის ვიცი ნუგეშად, რომ ახლა ზურას ყველა ოცნება ჩემი ოცნებაა, როგორც ყველა ჩემი ოცნება იყო მისი და უცნაურია, სულ არ გვაქვს არც მე და არც მის მეგობრებს შეგრძნება, რომ მარტო ვართ! მეგობრებო! ჩემი, თქვენი, ხალხის წილი ზურა იქნება ყოველთვის! ზურა, მე, ჩვენ, თქვენ ხართ ვენახი!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## სპორტი

# მანჩესტერ სიტი მანჩესტერ იუნაიტედის სასჯელს ელოდება




მანჩესტერ იუნაიტედის ასობით გულშემატკივარი „ოლდ ტრაფორდზე“ შეიჭრა, რაც ლივერპულთან პრემიერ ლიგის მატჩის გადადების მიზეზი გახდა.

მოედანზე შეჭრილები, რომელთა პროტესტიც გვარიან ხულიგნობაში გადაიზარდა, იუნაიტედის ამერიკელი მეპატრონეების, გლეიზერების ოჯახის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

მათი აზრითა და გავრცელებული ხმებით, ევროპის სუპერლიგის შექმნას სათავეში სწორედ ამერიკელთა ჯგუფი ედგა და გლეიზერებიც იმ ჯგუფში იყვნენ.

მოედანზე შეცვენილმა ვანდალებმა ხელს „სქაი სპორტის“ რამდენიმე კამერა, ბურთები და კუთხურის ალმები გააყოლეს. ერთმა გულშემატკივარმა კამერაში ისიც კი თქვა, რომ ბანერის აალებასა და ნამდვილ მასობრივ არეულობას ელოდა.

გარდა მოედანზე შევარდნილი, შედარებით მცირე რაოდენობის გულშემატკივრისა, ათასობით ფანი „ოლდ ტრაფორდს“ გარეთ იდგა. ბევრი გუნდის სასტუმროებთან შექუჩდა, საიდანაც ფეხბურთელები სტადიონისკენ უნდა დაძრულიყვნენ.

დიდი არეულობა ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ არც მშვიდობიანად ჩაუვლია. დაშავდნენ პოლიციელები.

პრემიერ ლიგისა და საფეხბურთო ასოციაციის წესდებით, თამაშის ჩატარებაზე, ასევე, ფეხბურთელებისა და ოფიციალურ პირთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება თამაშის ორგანიზატორ (ამ შემთხვევაში მასპინძელ) მხარეს.

ახლა მასპინძელ გუნდს სანქციები ემუქრება, მაგრამ, რომელი წესდების მიხედვით დაისჯებიან – პრემიერ ლიგის თუ საფეხბურთო ასოციაციის?

თუ პრემიერ ლიგის წესდებას მიენიჭება პრიორიტეტი, მაშინ იუნაიტედს ქულებს დააკლებენ. თუ ეს მომდევნო ტურამდე მოხდა, მეორე მანჩესტერული გუნდი – სიტი, ავტომატურად გახდება ჩემპიონი.

საფეხბურთო ასოციაციის წესდება კი ამგვარი ფაქტებისთვის ფინანსურ სასჯელსა და სტადიონის დისკვალიფიკაციას ითვალისწინებს.

ახლა განაჩენს ორივე მანჩესტერული გუნდი ელოდება.

# მესის კოვიდრეგულაციის დარღვევის გამო დასჯიან



ესპანეთის ლა ლიგა ბარსელონის ფეხბურთელების წინააღმდეგ გამოძიებას იწყებს. ესპანური მედიის ცნობით, საქმე ლიონელ მესის სახლში თანაგუნდელების შეკრებასა და კოვიდპროტოკოლის დარღვევას ეხება. ლა ლიგამ საქმე ყველა იმ ფეხბურთელის წინააღმდეგ გახსნა, რომლებიც არგენტინელის სახლს სტუმრობდნენ.

როგორც კლუბში აცხადებენ, მესიმ ატლეტიკოსთან მნიშვნელოვანი მატჩისთვის პირველი გუნდის ფეხბურთელები განწყობის ასამაღლებლად საკუთარ სახლში სადილზე დაპატიჟა. ეს კოვიდპროტოკოლის დარღვევაა, მაგრამ კლუბში თვლიან, რომ არანაირი პროტოკოლი არ დარღვეულა, რადგან შეკრებაზე ერთი გუნდის ფეხბურთელები იმყოფებოდნენ.

გარდა ამისა, კლუბში მიაჩნიათ, რომ ფეხბურთელები და მათი მეუღლეები ერთი კლასტერია, ხოლო შეხვედრის დროს დისტანცია დაცული იყო.

არადა, იმასაც წერენ, რომ გუნდის კაპიტანმა თანაგუნდელებთან ერთად ვალენსიასთან (3:2) გამარჯვება აღნიშნა და სახლში კლუბის ყველა წევრი მეგობარ გოგონებთან ერთად დაპატიჟა.

ლა ლიგაში აცხადებენ, რომ მესიმ ამ საქციელით კოვიდრეგულაცია დაარღვია, რომლის მიხედვითაც 6 ადამიანზე მეტის შეკრება არ შეიძლება. ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება უკვე დაიწყო. დიდი ალბათობით, არგენტინელს ფულად სანქციას დააკისრებენ.

მსგავსი შემთხვევა მადრიდის ატლეტიკოშიც იყო, მაგრამ მაშინ გუნდის ხელმძღვანელობამ ლა ლიგა გააფრთხილა და შეხვედრის დროს „როხიბლანკოს“ ფეხბურთელებმა ყველა რეგულაცია დაიცვეს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# გოგიტა არქანია ტოკიოს ლიცენზიანტი გახდება



პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში კარატეში წარმომადგენლობითი ტურნირი გაიმართა – პრემიერ ლიგა, რომელიც ამ რანგის ბოლო ასპარეზობაა ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებამდე. პირინეის ნახევარკუნძულზე წარმატებით იასპარეზა გოგიტა არქანიამ. საქართველოს ნაკრების ლიდერმა ყველა მეტოქეს აჯობა, 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა და ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისთვის სალიცენზიო ქულები აიღო. შედეგად, ლიცენზია დაბევებულია და მხოლოდ ოფიციალური დასტური აკლია.

მომავალმა ჩემპიონმა ფინალამდე 4 რთული ბრძოლა ჩაატარა: მოუგო უნგრელ, ესპანელ, ფრანგ და ირანელ მოწინააღმდეგეებს, ოქროს მედლისთვის კი აზერბაიჯანელი ასიმან გურბანლი დაამარცხა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. დადგენილი წესის თანახმად, შესაბამისი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციებიდან არქანიასთვის ოლიმპიური საგზურის მინიჭების შესახებ ოფიციალურ დადასტურებას დაელოდება.

შეგახსენებთ, რომ სადღეისოდ ტოკიო 2020-ის ლიცენზია 12 ქართველ სპორტსმენს აქვს მოპოვებული: ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა), სახილ ალახვერდოვი (კრივი, 52 კგ), გიორგი მუჯარიძე (მძლეოსნობა, ბირთვის კვრა), ლაშა ღულელაური (მძლეოსნობა, სამხტომი), გიორგი მელია, რამაზ ზოიძე, ლაშა გობაძე, იაკობ ქაჯაია (ყველა ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ავთანდილ კენჭაძე, ელიზბარ ოდიკაძე, გენო პეტრიაშვილი (ყველა თავისუფალი ჭიდაობა) და სანდრო ბაზაძე (ფარიკაობა, ხმალი).

მიმდინარე რეიტინგისა და სპორტული შედეგების მიხედვით, ახლო მომავალში ქართველ ოლიმპიურ ლიცენზიანტთა რიგებს შემოუერთდებიან ძალოსნობის, ძიუდოს, ჩოგბურთის, ტანვარჯიშის სახეობებიდან. კიდევ რამდენიმე სპორტის სახეობის წარმომადგენლები ახლოს არიან სალიცენზიო ზონასთან.

# შერმადინი ესპანეთში ლიდერობს

## ქართველ ცენტრს რუსეთში არ უშვებდნენ



ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელის გამოკითხვას ხმათა 7.481 პროცენტით ტენერიფეს ქართველი ცენტრი გიორგი შერმადინი ლიდერობს.

ჩვენებურის უშუალო კონკურენტს, მადრიდის რეალის ცენტრ ედი ტავარეშს 6.217 პროცენტი მოუგროვდა, მე-3 ადგილზე მყოფ ბარსელონელ მიროტიჩს კი სულ რაღაც 1.623 პროცენტი აქვს.

შერმადინი მიმდინარე სეზონში 14-ჯერ დაასახელეს მატჩის საუკეთესო მოთამაშედ, რაც ყველაზე მეტია ლიგაში. ქართველი ცენტრი სამ-სამჯერ გახდა ტურის მვპ და თვის საუკეთესო კალათბურთელი – ოქტომბერში, იანვარსა და მარტში.

შერმადინის საშუალო მაჩვენებლები ასე გამოიყურება: 34 მატჩი, 23 წუთი, 17.2 ქულა, 5.4 მოხსნა, 1.8 პასი. სარგებლიანობის კოეფიციენტით (22.8) ლიგაში პირველ ადგილზეა.

ქართველმა ცენტრმა მორიგ მატჩში დაადასტურა, რომ მვპ-ის ტიტულს იმსახურებს. ჩვენებურმა გუნდს მორიგ მატჩშიც ულიდერა და მატჩის საუკეთესო მოთამაშის ტიტულიც დაიმსახურა.

შერმადინის ტენერიფემ გიპუზკოას უმასპინძლა და იოლად – 98:69 გაიმარჯვა. გიორგი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 25 წუთი გაატარა, რა დროშიც 24 ქულას, 8 მოხსნასა და 4 პასს მოუყარა თავი. ჩვენებურმა 12-დან 10 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო.

ტენერიფე ესპანეთის ჩემპიონატში 52 ქულით მე-3 ადგილზეა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ტენერიფე და შერმადინი საკალათბურთო ჩემპიონთა ლიგის „რვათა ფინალის“ სათამაშოდ რუსეთში გაემართნენ, მაგრამ გუნდი ნიჟნი ნოვგოროდში ქართველის გარეშე დარჩა. რუსებმა ჩვენებური აეროპორტიდან ქალაქში არ შეუშვეს. მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. შერმადინმა ღამე ნიჟნი ნოვგოროდის აეროპორტში გაათია.

ტენერიფეს ბრაზილიელმა მოთამაშემ მარსელინიო უერტასმა სოციალური ქსელის მეშვეობით იმ სავარძლის ფოტო გაავრცელა, რომელზეც შერმადინს ეძინა და კომენტარიც დაურთო.

**მარსელინიო უერტასი:**

– დაუჯერებელია, რომ უარი თქვეს ჩვენი საუკეთესო კალათბურთელის ქვეყანაში შეშვებაზე. დრო გადის, პრობლემა არ გვარდება. ამ მნიშვნელოვანი მატჩის წინ გიორგის აეროპორტის სავარძელზე ეძინა. ჩვენ შენთან ვართ, გიო.

საბოლოოდ შერმადინი ნიჟნი ნოვგოროდში შეუშვეს.

# ირაკლი ბიძინაშვილი: „ევროტურნირებისთვის პარალელურად ვემზადებით“



ნახევარმცველი ირაკლი ბიძინაშვილი გორის დილას შარშან, ოქტომბერში, ლატვიური იელჰავადან შეუერთდა და ეროვნული ლიგის ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელად იქცა. მიმდინარე სეზონში მისი პროგრესი აშკარაა და გორელთა წამყვანი მოთამაშეა – საკმაოდ კრეატიული ნახევარმცველი ანდრეი დემჩენკოს გუნდისთვის შეუცვლელ ფიგურად იქცა.

შეგახსენებთ, დემჩენკო ეროვნულმა ლიგამ პირველი წრის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა, ხოლო ბიძინაშვილი წრის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა.

***– აშკარაა, რომ წელს, შარშანდელთან შედარებით, ბევრად კარგ ფორმაში ხარ. რა არის ამის მიზეზი?***

– პირველ რიგში, ეს გუნდის დამსახურებაა. როცა გუნდი კარგად თამაშობს, ფეხბურთელზეც აისახება. შემდეგ ის, რომ დემჩენკო 10 ნომერზე მათამაშებს, თავს ყველაზე კომფორტულად სწორედ ამ პოზიციაზე ვგრძნობ. შარშან უმეტესად საყრდენად მიწევდა თამაში, ეს კი ჩემი პოზიცია არ არის.

***– ნახევარი წელია, გორის დილაში ხარ. როგორ შეეწყვე გუნდს?***

– ძალიან კარგი და მეგობრული გუნდია. თავიდან ადაპტაცია ცოტა გამიჭირდა და ლატვიიდან საქართველოში გადმოწყობა რთული იყო. ამ სეზონში ყველაფერი კარგად მიდის, გუნდს ბოლომდე შევეწყვე.

***– ანდრეი დემჩენკო წრის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს.***

– იმსახურებდა კიდეც. კარგი სპეციალისტია... შემტევი ფეხბურთის თამაშს გვთხოვს, ისეთ დეტალებს აქცევს ყურადღებას, სხვები დიდად რომ არ უკვირდებიან. უნდა, რომ პირველ ნომრად ვითამაშოთ და ბურთი ვაკონტროლოთ. ძალიან მაქსიმალისტია. მოედნის გარეთ მასთან ურთიერთობა ძალიან სასიამოვნოა.

***– გუნდში ლატვიის ჩემპიონატიდან მოხვედი. რამდენად დაგეხმარა იქ გატარებული პერიოდი?***

– ლატვიაში უფრო ფიზიკურ კონდიციებზე იყო აქცენტი გაკეთებული, ამ მხრივ ძალიან მოვუმატე და ახლა უფრო თავისუფლად შემიძლია 90 წუთი თამაში.

***– დილას მიზნები რა არის ამ სეზონში?***

– პროგრამა მინიმუმი სამეულში მოხვედრაა. გარდა ამისა, თითოეულ თამაშზე მოსაგებად გავდივართ, მნიშვნელობა არ აქვს, ვინ არის მოწინააღმდეგე.

***– ეროვნულ ლიგაზე რას ფიქრობ, არის წინსვლა?***

– ვფიქრობ, პროგრესი შეინიშნება. თამაშის მარტივად მოგებას ვერავინ ვერავისთან დაგეგმავს. იმედია, ინფრასტრუქტურა გამოსწორდება და ჩემპიონატის დონე უფრო მოიმატებს.

***– მალე ზაფხული მოვა და დილა ევროასპარეზზე ითამაშებს. რამდენად მზად ხვდება გუნდი ევროტურნირებს?***

– ჯერ კიდევ მზადების პროცესში ვართ. პატარა ჩავარდნა გვქონდა და ეს ცუდი პერიოდი დავძლიეთ. ევროტურნირებისთვის ვემზადებით და ვეცდებით, რომ თამაშებს ფორმის პიკში შევხვდეთ

# შედეგები

**3 მაისი**

**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

ვესტ ბრომვიჩი-ვულვზი .................. 1:1
ბარნლი-ვესტ ჰემი .......................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 34 | 25 | 5 | 4 | 71-24 | 80 |
| 2.მანჩესტერი | 33 | 19 | 10 | 4 | 64-35 | 67 |
| 3.ლესტერი | 34 | 19 | 6 | 9 | 61-39 | 63 |
| 4.ჩელსი | 34 | 17 | 10 | 7 | 53-31 | 61 |
| 5.ვესტ ჰემი | 34 | 17 | 7 | 10 | 55-44 | 58 |
| 6.ტოტენჰემი | 34 | 16 | 8 | 10 | 60-38 | 56 |
| 7.ლივერპული | 33 | 15 | 9 | 9 | 55-39 | 54 |
| 8.ევერტონი | 33 | 15 | 7 | 11 | 45-42 | 52 |
| 9.არსენალი | 34 | 14 | 7 | 13 | 46-37 | 49 |
| 10.ასტონ ვილა | 33 | 14 | 6 | 13 | 48-38 | 48 |
| 11.ლიდსი | 34 | 14 | 5 | 15 | 50-52 | 47 |
| 12.ვულვზი | 34 | 11 | 9 | 14 | 33-46 | 41 |
| 13.კრ.პალასი | 33 | 10 | 8 | 15 | 34-56 | 38 |
| 14.ბრაიტონი | 34 | 8 | 13 | 13 | 35-39 | 37 |
| 15.საუთჰემპტონი | 33 | 10 | 7 | 16 | 41-59 | 37 |
| 16.ბარნლი | 34 | 9 | 9 | 16 | 31-47 | 36 |
| 17.ნიუკასლი | 34 | 9 | 9 | 16 | 36-56 | 36 |
| 18.ფულემი | 34 | 5 | 12 | 17 | 25-45 | 27 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 34 | 5 | 11 | 18 | 31-65 | 26 |
| 20.შეფილდი | 34 | 5 | 2 | 27 | 18-60 | 17 |

### გერმანია. ბუნდესლიგა

მაინცი-ჰერტა ........................................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 31 | 22 | 5 | 4 | 86-40 | 71 |
| 2.ლაიფციგი | 31 | 19 | 7 | 5 | 55-25 | 64 |
| 3.ვოლფსბურგი | 31 | 16 | 9 | 6 | 54-32 | 57 |
| 4.აინტრახტი | 31 | 15 | 11 | 5 | 62-47 | 56 |
| 5.დორტმუნდი | 31 | 17 | 4 | 10 | 66-42 | 55 |
| 6.ლევერკუზენი | 31 | 14 | 8 | 9 | 51-35 | 50 |
| 7.გლადბახი | 31 | 12 | 10 | 9 | 59-46 | 46 |
| 8.უნიონი | 31 | 11 | 13 | 7 | 47-38 | 46 |
| 9.ფრაიბურგი | 30 | 11 | 8 | 11 | 45-43 | 41 |
| 10.შტუტგარტი | 31 | 10 | 9 | 12 | 52-51 | 39 |
| 11.ჰოფენჰაიმი | 31 | 9 | 9 | 13 | 45-50 | 36 |
| 12.მაინცი | 31 | 9 | 8 | 14 | 34-50 | 35 |
| 13.აუგსბურგი | 31 | 9 | 6 | 16 | 31-47 | 33 |
| 14.ვერდერი | 31 | 7 | 9 | 15 | 34-51 | 30 |
| 15.არმინია | 31 | 8 | 6 | 17 | 23-51 | 30 |
| 16.კიოლნი | 31 | 7 | 8 | 16 | 32-56 | 29 |
| 17.ჰერტა | 29 | 6 | 9 | 14 | 35-49 | 27 |
| 18.შალკე | 30 | 2 | 7 | 21 | 18-76 | 13 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ფორტუნა-კარლსრუე ......................... 3:2

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

სევილია-ბილბაო ................................ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 34 | 23 | 7 | 4 | 61-22 | 76 |
| 2.რეალი | 34 | 22 | 8 | 4 | 58-24 | 74 |
| 3.ბარსელონა | 34 | 23 | 5 | 6 | 80-33 | 74 |
| 4.სევილია | 34 | 22 | 4 | 8 | 49-27 | 70 |
| 5.სოსიედადი | 34 | 14 | 11 | 9 | 51-35 | 53 |
| 6.ვილიარეალი | 34 | 13 | 13 | 8 | 51-38 | 52 |
| 7.ბეტისი | 34 | 14 | 9 | 11 | 43-46 | 51 |
| 8.ბილბაო | 34 | 11 | 12 | 11 | 44-36 | 45 |
| 9.გრანადა | 34 | 13 | 6 | 15 | 43-55 | 45 |
| 10.სელტა | 34 | 11 | 11 | 12 | 46-51 | 44 |
| 11.კადისი | 34 | 10 | 10 | 14 | 29-49 | 40 |
| 12.ოსასუნა | 34 | 10 | 10 | 14 | 31-41 | 40 |
| 13.ლევანტე | 34 | 9 | 11 | 14 | 38-48 | 38 |
| 14.ვალენსია | 34 | 8 | 12 | 14 | 43-51 | 36 |
| 15.ხეტაფე | 34 | 8 | 10 | 16 | 26-40 | 34 |
| 16.ვალიადოლიდი | 34 | 5 | 16 | 13 | 32-46 | 31 |
| 17.ალავესი | 34 | 7 | 10 | 17 | 28-52 | 31 |
| 18.უესკა | 34 | 6 | 12 | 16 | 32-50 | 30 |
| 19.ელჩე | 34 | 6 | 12 | 16 | 29-50 | 30 |
| 20.ეიბარი | 34 | 5 | 11 | 18 | 26-46 | 26 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

საბადელი-რაიო .................................. 2:0
ალბასეტე-ალკორკონი ........................ 0:1

### იტალია. სერია ა

ტორინო-პარმა .................................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 34 | 25 | 7 | 2 | 74-29 | 82 |
| 2.ატალანტა | 34 | 20 | 9 | 5 | 79-40 | 69 |
| 3.იუვენტუსი | 34 | 20 | 9 | 5 | 67-31 | 69 |
| 4.მილანი | 34 | 21 | 6 | 7 | 62-41 | 69 |
| 5.ნაპოლი | 34 | 21 | 4 | 9 | 74-38 | 67 |
| 6.ლაციო | 33 | 20 | 4 | 9 | 60-49 | 64 |
| 7.რომა | 34 | 16 | 7 | 11 | 58-53 | 55 |
| 8.სასუოლო | 34 | 14 | 11 | 9 | 56-51 | 53 |
| 9.სამპდორია | 34 | 13 | 6 | 15 | 45-47 | 45 |
| 10.ვერონა | 34 | 11 | 9 | 14 | 41-42 | 42 |
| 11.უდინეზე | 34 | 10 | 9 | 15 | 39-45 | 39 |
| 12.ბოლონია | 34 | 10 | 9 | 15 | 47-56 | 39 |
| 13.ჯენოა | 34 | 8 | 12 | 14 | 40-52 | 36 |
| 14.ფიორენტინა | 34 | 8 | 11 | 15 | 45-57 | 35 |
| 15.ტორინო | 33 | 7 | 13 | 13 | 47-56 | 34 |
| 16.სპეცია | 34 | 8 | 10 | 16 | 43-63 | 34 |
| 17.კალიარი | 34 | 8 | 8 | 18 | 40-57 | 32 |
| 18.ბენევენტო | 34 | 7 | 10 | 17 | 37-68 | 31 |
| 19.პარმა | 34 | 3 | 11 | 20 | 36-71 | 20 |
| 20.კროტონე | 34 | 5 | 3 | 26 | 42-85 | 18 |

### საფრანგეთი. ლიგა 2

გრენობლი-კლერმონი ........................ 1:2

### რუსეთი. პრემიერ ლიგა

არსენალი-სპარტაკი ........................... 1:2

### თურქეთი. სუპერლიგა

მალათია-ქაისერი ................................ 1:1
ბაშაქშეჰირი-ანკარაგიჯიუ ................. 2:1
ქაშიმფაშა-ალანია ............................. 3:0
გაზიანთები-სივასი ............................. 0:1
ფენერბახჩე-ერზრუმი ......................... 3:1

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

პიასტი-პოდბესკიჟიე ........................... 2:0
კრაკოვია-გურნიკი ............................. 1:0

### უნგრეთი. თასი ფინალი

ფეჰერვარი-უიპეშტი 0:1 ............... (დდ)

### დანია. სუპერლიგა

კოპენჰაგენი-ორხუსი .......................... 3:2

### შვედეთი. ალსვენსკა

მიალბი-დეგერფორსი .......................... 1:0
დიურგარდენი-მალმიო ........................ 3:1

### ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ლახტი-ინტერი ................................... 2:1
ოულუ-ილვესი ..................................... 0:2
სეინეიოკი-კტპ ..................................... 1:1
ჰიფკი-ჰაკა ........................................ 2:0
ჰონკა-მარიეჰამნი ............................. 0:2

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად; 2. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 3. უსქესო, ვეგეტატიური გამრავლების გზით წარმოშობილი შთამომავლობა; 5. იპოდრომი ინგლისში, სადაც ყოველწლიურად იმართება სამეფო დოღი; 6. ხერხემლის გამრუდება; 9. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ადიგენის რაიონში; 10. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 11. მრავალხმიანობა მუსიკაში; 14. ქართული ჟურნალი; 16. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 18. გალავნით შემოსაზღვრული ძველი თბილისის უბანი.

**თარაზულად**: 1. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 4. ალპინისტთა ლაშქრობა რამდენიმე მწვერვალის დალაშქვრით; 7. ტბა იტალია-შვეიცარიის საზღვარზე; 8. წყლის ბინადართა საერთო სახელწოდება, რომელთაც დინების საწინააღმდეგო მიმართულებით შეუძლიათ გადაადგილება; 10. ბულგარელი ნათელმხილველი ქალი; 13. ზღვა თურქეთისა და საბერძნეთის სანაპიროებთან; 15. ძვირფასი ქვა, ძალზე მტკიცე მინერალი; 17. დენის წინაღობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 19. ინდური იგავ-არაკების კრებული; 20. ოსური ცეკვა; 21. ბრაზილიური არაყი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. შენგელია; 2. გლუკოზა; 3. წინდა; 4. მურმანი; 5. ჯანდარა; 10. ვესტერნი; 11. სერვანტესი; 12. ალიკაპი; 15. პოლიფონია; 16. ფიესტა; 17. ატლანტა; 20. ტოლმა.

**თარაზულად:** 6. მეგალომანია; 7. თურნავა; 8. ატაკამა; 9. ალმაზა; 13. კაფე; 14. ცერული; 18. აკვალანგი; 19. ატაშე; 21. ზონდი; 22. ხარები; 23. სამთავისი; 24. ტრაქტატი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პუმა; 2. ელესა; 3. გრიგი; 5. სოკერი; 6. ლაშარელა; 9. ტროპოსფერო; 10. ჰართფილდი; 11. იაკიტორია; 14. ლია; 16. შაპიტო; 18. სიტე.

**თარაზულად:** 1. პლზენია; 4. მისტრალი; 7. ფეტიში; 8. გეიზერი; 12. ლორია; 13. ილუზია; 15. ათლეტი; 17. უფა; 19. ბურგომისტრი; 20. სოტბი; 21. მერანო.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

5 მაისი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 3.4503

ევრო — 4.1818

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.8076

100 რუსული რუბლი — 4.6439

**ამინდის პროგნოზი 5 მაისისათვის**




## მემფის დეპაი ბარსელონაში სახლს ეძებს



ლიონის ჰოლანდიელი შემტევი მემფის დეპაი ზაფხულში ბარსელონაში აპირებს გადაბარგებას და, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სახლს ეძებს, თუმცა თვითონ ფეხბურთელს ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებია.

დეპაის ყიდვა ბარსელონას ჯერ კიდევ ზამთარში სურდა, მაგრამ მაშინ ეს ტრანსფერი გაურკვეველი მიზეზების გამო არ შედგა, მაგრამ, როგორც ჩანს, კუმანს მაინც სურს თავისი თანამემამულის ბარსელონაში ხილვა.

## მოურინიო რომას მწვრთნელი გახდება



ჟოზე მოურინიო მომავალი სეზონიდან რომას მთავარი მწვრთნელი იქნება. ამის შესახებ ინფორმაცია თავად იტალიურმა გუნდმა დაადასტურა.

მოურინიო რამდენიმე კვირის წინ გაათავისუფლეს ტოტენჰემიდან და მას ახალი გუნდის ძებნა დიდხანს არ მოუწია. თვითონ ჟოზემაც გააკეთა კომენტარი და თქვა, რომ მოუთმენლად ელოდება ახალი სეზონის დაწყებას, როდესაც რომას მწვრთნელი გახდება და მზად არის გამოწვევებისთვის.

## ბერნანდესკიმ, შესაძლოა, იუვენტუსი დატოვოს



იუვენტუსის ნახევარმცველმა ფედერიკო ბერნანდესკიმ, შესაძლოა, იუვენტუსი დატოვოს და კარიერა სხვა გუნდში გააგრძელოს. ბერნანდესკის რამდენიმე ვარიანტი აქვს და, სავარაუდოდ, იტალიაში დარჩება.

წლევანდელ სეზონში ფედერიკო ძალიან არასტაბილურია და ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ სურს მას გუნდიდან წასვლა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

დედამ თავისი 18 წლის გოგონა ექიმთან თავბრუსხვევის და პირღებინების ჩივილებით მიიყვანა. ექიმმა გოგონა საგულდაგულოდ გასინჯა და დედას ეუბნება:

– თქვენი შვილი ოთხი თვის ფეხმძიმეა.

– ეს როგორ, – აღშფოთება ვერ დამალა დედამ, – ჩემი გოგონა უმწიკვლოა, მამაკაცთან არასოდეს ყოფილა! ასეა შვილო?

– ერთხელაც კი არავისთვის მიკოცნია! – დაუდასტურა გოგონამ.

ექიმი წამოდგა, ხმის ამოუღებლად მივიდა ფანჯარასთან და სივრცეს გახედა. გავიდა ხუთი წუთი. მოთმინებადაკარგული დედა ექიმს ეკითხება:

– ექიმო, რა ხდება?

– იცით, უბრალოდ, ასეთ შემთხვევაში აღმოსავლეთით ცაზე კაშკაშა ვარსკვლავი ჩნდება, ხოლო გორაკიდან სამი ბრძენი ეშვება. ჰოდა, მეც ვდგავარ და ველოდები...

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– აი გაიხსნა ცნობილი სავარჯიშო დარბაზი...

– რომელი?

– ბოსტანი!

●●●

მამა შვილს ეუბნება:

– შვილო, გიგი, შენ უკვე გაიზარდე და დროა დედასთან ან ბებიასთან კი არ იძინებდე, არამედ ცალკე.

– არა, მამიკო, მე სულ ქალებთან დავიძინებ!!!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ცოლი რატომ მოიყვანე?

– მეძავეებში, რომ არ მერბინა.

– და ახლა?

– ახლა მინდა...

●●●

კაცი ქალს ეუბნება:

– ქალბატონო, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თქვენ მხოლოდ ფული გაღელვებთ.

– კი არ მაღელვებს, მამშვიდებს!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნატო დუმბაძე სატელევიზიო დადგმების დაფინანსებას ითხოვს



პროდიუსერი ნატო დუმბაძე მსახიობების, რეჟისორების დასაქმებასა და, შესაბამისად, სატელევიზიო სპექტაკლების დაფინანსებას ითხოვს:

– ამდენი მსახიობი, რეჟისორი სპექტაკლის გარეშე რომ იჯდა სახლში და წინ კიდევ რა გველის, არ ვიცით, არ შეიძლება, როგორც ადრე იყო, სატელევიზიო დადგმები დაფინანსდეს? იმდენი არხი გვაქვს, ყველას ეყოფა! მიუზიკლებში, მაგალითად, რეჟისორი, მომღერალი, მსახიობიც, მოცეკვავეც დაკავდება. ასე როდემდე უნდა ისხდნენ?

რა ვიცი, მგონი, ძალიან მისახედია კულტურა, ძალიან!

მიუხედავად პანდემიისა, გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება, მთავარია, მოინდომო.

## გია ბურჯანაძე 60 წლის გახდა



თეატრისა და კინოს მსახიობი გია ბურჯანაძე 60 წლის გახდა. პანდემიის გამო ხელოვანის იუბილე სათანადოდ ვერ აღინიშნა. მშობლიურმა მარჯანიშვილის თეატრმა იუბილარს მრგვალი თარიღი საჯაროდ მიულოცა.

გია ბურჯანაძემ ათასობით მილოცვა მიიღო რიგითი მაყურებლისგან თუ გულშემატკივრისგან. იუბილარი მსახიობი რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ თავის ახალ სპექტაკლში დააკავა, რომლის საპრემიერო წარმოდგენებიც სრული ანშლაგებით მიმდინარეობს.

## მუსიკოსი შალვა შაორშაძე კორონავირუსმა იმსხვერპლა



მუსიკოსი შალვა შაორშაძე 62 წლის ასაკში კორონავირუსმა იმსხვერპლა. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ქორმაისტერმა კოვიდ 19-ის დამარცხება ვერ შეძლო.

სამწუხარო ინფორმაცია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა გაავრცელა:

– ბატონი შალვა 38 წელი სიყვარულით, ერთგულებით, ბრწყინვალე პროფესიონალიზმით დაუღალავად ემსახურებოდა ოპერის თეატრს, ქართულ კულტურას. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თეატრის საოპერო სპექტაკლების წარმატებაში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

ბატონი შალვას გარდაცვალება უდიდესი დანაკარგია ჩვენი თეატრისთვის, გუნდის, საოპერო დასის თითოეული წევრისა და თეატრის ყველა თანამშრომლისთვის.

## ნინი წიკლაურს დიზაინერული ნიჭი აღმოაჩნდა



შორეულ ამერიკაში მყოფ მომღერალ ნინი წიკლაურს დიზაინერული ნიჭი აღმოაჩნდა და მან სამაჯურების დამზადება დაიწყო.

„ნინიმი" – ასე ჰქვია მომღერლის მიერ დამზადებული სამაჯურების კოლექციას, რომელიც ქალის, ბავშვისა და მამაკაცის ხაზს აერთიანებს:

– მთელი გულით მინდა გაგაცნოთ ჩემი სახლური წამოწყება „ნინიმი", რომელსაც ჩემი ხელით ღამლამობით, როცა ბავშვებს დავაძინებ, მაშინ ვქმნი. თუ მოგეწონებათ და შეძენას გადაწყვეტთ, უბედნიერესი ვიქნები.

მაქვს სამი ხაზი: ქალი, მამაკაცი და ბავშვი. ასევე ერთნაირი სამაჯურები დედიკოებისა და შვილიკოებისთვის და შეზღუდული რაოდენობით „ძი"-ს ქვის სამაჯურები.

ჯვრები, რომელზეც კურთხევა ჩემმა საყვარელმა მამა ილიამ მომცა და მთხოვა, რომ არასოდეს შევწყვიტო ამის კეთება.

მასალად ვიყენებ მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივ ქვებს. ჯვრებიც და ბურთებიც ბუნებრივია.

## „მასტერშეფს" თუთა ოქროპირიძე გამოეთიშა



„მასტერშეფის" მეხუთე სეზონი ნელ-ნელა ფინალს უახლოვდება და მას ყოველ საკონკურსო ტურში თითო რჩეული ეთიშება.

კონსტანტინე თედელურის, ლუკა ნაჭყებიასა და ლევან კობიაშვილის გადაწყვეტილებით, შოუ თუთა ოქროპირიძემ დატოვა. საუკეთესო 12 კონკურსანტიდან შოუს სამი მათგანი უკვე გამოეთიშა, დარჩენილი ცხრიდან კი თითოეული მათგანი მაქსიმუმს გააკეთებს, რომ ჟიურის მოწონება დაიმსახუროს, ფინალამდე მივიდეს და გამარჯვებულიც გახდეს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ნინი ამირეჯიბი ზურა რთველიაშვილზე: „სიკვდილის კულტურა დაამარცხა!"

პოეტ ზურა რთველიაშვილის მეუღლე ნინი ამირეჯიბი აცხადებს, რომ მისმა რჩეულმა სიკვდილის კულტურა დაამარცხა:

– იმ ზურას, რომელსაც ნინა უყვარდა, ერთი საათიც უჭირდა ნინას გარეშე ცხოვრება. იმ ნინას, რომელსაც ზურა სიცოცხლეზე მეტად უყვარდა, სწამდა, რომ ზურა უკვდავი იყო და, შესაბამისად, არც მას შეეძლო ზურას გარეშე ერთ საათზე მეტხანს თავისუფლად სუნთქვა. 192 საათზე მეტი გავიდა ზურას გარეშე და ამ 192 საათში სხვადასხვა შეგრძნებების ქარიშხალია ჩემს სულში.

პირველად ერთი თვის წინ მომიკვდა, როცა ექიმებმა ყველაზე სასტიკი განაჩენი გამოუტანეს, „პანკრეასის სიმსივნე" შორს წასული მეტასტაზებით. დაგვპირდნენ გადარჩენის 10%-ს, უფრო სწორად, არც არავინ დამპირებია, ძალით ამოვაწიწკნე სიტყვები ექიმს და ზურას მეგობრებთან ერთად ამ 10%-ს ჩამოვეკონწიალე.

მეორედ მაშინ მომიკვდა, როცა მითხრეს, რომ დინამიკა უკან მიდის, შვედეთში წასვლას ვერ შევძლებდით, რომ არც ერთი თავმოყვარე კლინიკა არ დაადებდა დანას, ვერც ბიოფსია

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## ასტროპროგნოზი



**5 მაისისათვის**

**ვერძი** – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **კურო** – ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** – მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზებაც მიიღოთ. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** – თავს მხნედ გრძნობთ. განეწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. **ლომი** – შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **ქალწული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **სასწორი** – იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **ღრიანკალი** – დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა თქვენს ფსიქიკაზეც მოახდენს გავლენას. ბედს მიენდეთ. ვერაფერს შეცვლით. **მშვილდოსანი** – თქვენი მომხიბვლელობის წყალობით მრავალი ადამიანის გულს მოინადირებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი პერიოდი გიდგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **მერწყული** – გიმახვილდებათ ინტუიცია. შეგიძლიათ, სამომავლო გეგმები თამამად დასახოთ. არ მოტყუვდებით. **თევზები** – სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მშრომელი, დიდად ნაჯაფი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 3. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 4. ხელის კუნთების სავარჯიშო სპორტული იარაღი; 5. ქართული სანადიმო სიმღერა; 10. ბულვარული ჟურნალ-გაზეთების სახელწოდება აშშ-ში; 11. ხელოვნური წყალსაცავი აზერბაიჯანში; 12. ქართული ხალხური ნაციონალური ტანსაცმელი; 15. ამერიკული ატომური წყალქვეშა ნავების სერია; 16. ტყეში ბინადარი ეკლიანი ცხოველი; 17. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 20. მელაზე, კურდღელზე სანადიროდ გამოყენებული ინგლისური ჯიშის ძაღლი.

**თარაზულად:** 6. მდინარე მადრიდში; 7. თაფლისაგან მომზადებული მათრობელა სითხე; 8. მიწის ნაყოფიერების ღვთაება სვანურ მითოლოგიაში; 9. ქართული ნაციონალური კერძი; 13. ლატვიის დედაქალაქი; 14. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 18. მარცვლეულის შესანახი დიდი ნაგებობა; 19. აშშ-ის ლიგაში მოთამაშე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი; 22. ტაილანდის ისტორიული სახელწოდება; 22. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 23. ოსური ხაჭაპური; 24. სუფრული სიმღერა იტალიურ ოპერაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

